პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 114 (19256) შაბათი, 18 მაისი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

17 მაისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება.

კრებაზე მოწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, ზოგიერთი მსხვილი საწარმოსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელები, ტრესტების მმართველები, სახლთსაშენებელი კომბინატებისა და სამშენებლო სამმართველოების უფროსები, მოწინავე მუშები და ბრიგადირები, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სისტემის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. ანდრონიკაშვილი, ვ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ზ. ა. ჩხეიძე, ბ. ვ. ადლეიბა, შ. ს. სანაკოევი, ვ. ქ. შარტავა, სსრ კავშირის სახმშენის თავმჯდომარის პირველი მოადგილე; სსრ კავშირის სამოქალაქო მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე ი. გ. ლოსევი.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. ნიკოლსკიმ.

მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მოთხოვნებისა და „კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის, ორგანიზაციისა და მართვის გაუმჯობესების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად და საქართველოს სსრ მშენებლობის გაერთიანებული სამინისტროს შექმნასთან დაკავშირებით რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების თაობაზე გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ქ. ვ. კაპანაძე, „თბილისქალაქმშენის" გაერთიანების № 5 სახლთსაშენებელი კომბინატის ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. დიხტიარი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ო. გ. ზუხბაია, ბათუმის სახლთსაშენებელი კომბინატის უფროსი ე. ლ. ხვიჩია, საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარე გ. ზ. მირიანაშვილი, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი ი. ა. ხარატიშვილი, ცხინვალის № 11 ტრესტის მმართველი ს. ვ. ბერგაული, რუსთავის № 1 ტრესტის პარტკომის მდივანი რ. ი. მახარაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსი გ. ა. ზატუაშვილი, ჭიათურის № 8 ტრესტის მმართველი ზ. ს. ქაპანაძე, მშენებლობისა და სამშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ა. ი. კოპლატაძე, მარნეულის № 16 ტრესტის № 66 მოძრავი მექანიზებული კოლონის უფროსი ა. ა. ემინოვი, სსრ კავშირის მშენბანკის რესპუბლიკური კანტორის მმართველი ზ. გ. გენძეხაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სტუდენტური სამშენებლო რაზმების რესპუბლიკური შტაბის მეთაური ბ. ი. გიორგაძე.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე გამოვიდნენ ამხანაგები ი. გ. ლოსევი და ი. ნ. პონომარიოვი.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია. (საქინფორმი).

სიტყვისა და საქმის ერთიანობა წარმატების საფუძველია

მ. ს. გორბაჩოვი ლენინგრადში

ლენინგრადი, 17 მაისი. (საკდესი). ლენინური ტრადიციების ერთგული პარტია ნიადაგ ეკითხება რჩევას მშრომელთა მასებს, თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკით გამოხატავს საბჭოთა ხალხის ძირეულ ინტერესებს. ამის დასტური გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მრავალი შეხვედრა და საუბარი ლენინგრადელებთან.

დღეს მ. ს. გორბაჩოვი იყო ს. მ. კიროვის სახელობის გაერთიანება „ელექტროსილაში". საამქროებში იგი გაეცნო, თუ როგორ მზადდება ახალი თაობის ტექნიკა, სამასი ათასი კილოვატი სიმძლავრის ტრიოგენული ტურბოგენერატორი, ატომური ელექტროსადგურების „მილიონიანი" გენერატორი. მუშებთან და სპეციალისტებთან მიხეილ სერგეის ძის საუბრისას ილაპარაკეს ენერგომანქანათმშენებლობის, ახალი ტექნიკის დამზადების დონის ამაღლების, წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის შესახებ.

მუშებმა თქვეს, რომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დროულად მიიღო დადგენილება ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ. მათ აღუთქვეს მ. ს. გორბაჩოვს, რომ მშრომელთა კოლექტივები აქტიურად შეუწყობენ ხელს ამ დადგენილების რეალიზაციას, იბრძოლებენ დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებისათვის. პარტიას, უთხრეს გაერთიანების მუშებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ყოველთვის შეუძლია დაგვეყრდნოს ჩვენ, ლენინგრადელებს. ჩვენ არ დავაღალატებთ.

ლენინგრადისა და ოლქის ორმოცდათექვსმეტი საწარმო მონაწილეობს დიდი მასშტაბის ეკონომიკურ ექსპერიმენტში, რომლის მიზანია გაფართოვდეს კოლექტივების უფლებები დაგეგმვასა და სამეურნეო საქმიანობაში, ამაღლდეს მათი პასუხისმგებლობა მუშაობის საბოლოო შედეგისათვის. ამ ექსპერიმენტის შედეგების შესახებ ესაუბრნენ მ. ს. გორბაჩოვს გაერთიანების გენერალური დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი ბ. ი. ფომინი, მეცნიერები, ლენინგრადის მთელ რიგ სხვა საწარმოთა ხელმძღვანელები, რომლებიც მოწვეულ იყვნენ ამ შეხვედრაზე. მათ აღნიშნეს, კერძოდ, რომ ახლებურად მუშაობის პერიოდში გაუმჯობესდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის მიწოდება, წარმოების მოცულობის მთელი მატება უზრუნველყოფილია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. 12-17 პროცენტით გაიზარდა კონსტრუქტორთა, ტექნოლოგთა შრომის ნაყოფიერება, გადიდდა სამუშაოთა მოცულობა, შემცირდა ნამუშევართა დამთავრების ვადები. გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რაოდენ საჭიროა უზრუნველყონ წარმოების დინამიკური ტექნიკური განახლება, სრულად გამოიყენონ მისი განვითარების ფონდის გაზრდილი შესაძლებლობანი ექსპერიმენტის პირობებში მომუშავე საწარმოებში.

შეხვედრის დასასრულს მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, რომ ექსპერიმენტი ცხადყოფს თავის ცხოვრებისეულობას და დიდ შესაძლებლობებს უქმნის საწარმოთა ეკონომიკური საქმიანობის გაუმჯობესებას. მან ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა მთლიანად დაიხვეწოს ექსპერიმენტის ყველა ელემენტი და განუხრელად დაინერგოს პრაქტიკაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ეწვია ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ფილიალს, გაეცნო მის ექსპოზიციებს. აქ იგი შეხვდა პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანებს და დიდი მადლობა მოახსენა მათ მშრომელების, მეტადრე ახალგაზრდობის აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის. მიხეილ სერგეის ძემ გულითადად მიულოცა ვეტერანებს გამარჯვების 40 წლისთავი და უსურვა ჯანმრთელობა, ნაყოფიერი შრომითი საქმიანობა და საზოგადო მოღვაწეობა.

სმოლნის სააქტო დარბაზში გაიმართა შეხვედრა ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის აქტივთან. შეხვედრაზე გამოვიდნენ პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ნ. ზაიკოვი, სკკპ კიროვის რაიკომის პირველი მდივანი ი. ვ. კუროჩკინი, საბჭოთა მეურნეობა „დეტსკოსელსკის" მებოსტნე ბრიგადირი ვ. რ. პარშინა, „ლენინგრადის ლითონის ქარხნის" გაერთიანების გენერალური დირექტორი ა. პ. ოგურცოვი, რომლებმაც ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ლენინგრადელებმა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, ახლოს მიიტანეს გულთან სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის მარტისა და აპრილის პლენუმების გადაწყვეტილებანი, რომელთა არსი ის არის, რომ დავაჩქაროთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი, აქტიურად გამოვავლინოთ და გადავჭრათ ახალი პრობლემები, აღმოვფხვრათ ყოველივე ის, რაც აბრკოლებს ჩვენი საზოგადოების კიდევ უფრო სწრაფ წინსვლას. ლენინგრადისა და ოლქის მშრომელნი დიდი მოწონებით შეხვდნენ ღონისძიებებს, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ მიიღეს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დასაძლევად.

შეხვედრის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ლენინგრადელები პირნათლად შეასრულებენ პარტიის მიერ დასახულ პასუხსაგებ ამოცანებს, ღირსეულად შეხვდებიან სკკპ XXVII ყრილობას.

შეკრებილთ სიტყვით მიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა, მთელი ჩვენი პარტია, მთელი ხალხი, თქვა მან, დიდად აფასებენ ლენინგრადელთა მხედრულ და შრომით გმირობას, ყოველივე იმას, რაც გააკეთეს და რასაც აკეთებენ ლენინგრადის პარტიული ორგანიზაცია, ოლქისა და გმირი ქალაქის მშრომელები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დასამკვიდრებლად. ლენინგრადის პარტიული ორგანიზაცია, ლენინგრადის მუშათა კლასი, ქალაქის ყველა მშრომელი შეადგენენ საბჭოთა ხალხის მოწინავე რაზმს, სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის საიმედო დასაყრდენს.

ლენინგრადში გამართული შეხვედრები და საუბრები, პარტიული ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების მუშაობის გამოცდილების გაცნობა კიდევ და კიდევ მოწმობს, რომ ლენინგრადის კომუნისტები, ქალაქისა და ოლქის მშრომელები ენერგიულად უჭერენ მხარს პარტიის პოლიტიკას, მხურვალედ იწონებენ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ძალისხმევას, რომლის მიზანია უფრო სწრაფად გადავიყვანოთ ეკონომიკა განვითარების ინტენსიურ გზაზე, გავაუმჯობესოთ წესრიგი და დისციპლინა ჩვენს საზოგადოებაში, ნიადაგ ვიზრუნოთ მშრომელთა კეთილდღეობისათვის.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ახლა პარტიისა და ქვეყნის წინაშე დგას დიდი და პასუხსაგები ამოცანები. რომელთაგან ზოგიერთი ერთობ რთული და ძნელია. მაგრამ პარტია დარწმუნებულია: მათი გადაწყვეტა შეიძლება და ძალზე აუცილებელია. სამისო შესაძლებლობანი, ძალები და ენერგია ჩვენს პარტიას და ხალხს აქვთ.

დღეს პარტია საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის მთავარ სტრატეგიულ ბერკეტად გვისახავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კარდინალურ დაჩქარებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა სრულიად გარკვევით დაადასტურა ეს დასკვნა და ხაზი გაუსვა, რომ ტექნიკური პროგრესის წამყვანი მიმართულებებია მანქანათმშენებლობის, მეტადრე ჩარხმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობის, გამოთვლითი ტექნიკის, ელექტრონიკის, ელექტროტექნიკის შემდგომი და პრიორიტეტული განვითარება. როდესაც ამას ვამბობთ, ჩვენ ვგულისხმობთ აგრეთვე, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს, ხოლო ზოგან გარდაიქმნას კიდეც მართვა, დაგეგმვა, სტრუქტურული და ინვესტიციური პოლიტიკა, სამეურნეო ორგანოების საქმიანობის ფორმები და მეთოდები.

ლენინგრადი მრეწველობის დიდი ცენტრია, სადაც თავმოყრილია მაღალკვალიფიციური მანქანათმშენებლობა, ენერგომანქანათმშენებლობა, გემთმშენებლობა, რადიოტექნიკა, ხელსაწყოთმშენებლობა და სხვა დარგები. ქალაქში არის დიდძალი სამეცნიერო, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური და საპროექტო ორგანიზაციები. ლენინგრადელი მეცნიერები, სპეციალისტები არსებითად განსაზღვრავენ ტექნიკურ პოლიტიკას სამამულო ენერგომანქანათმშენებლობის განვითარებაში. მაგრამ ეს პოლიტიკავე განსაზღვრავს, თქვა მან, მათი პასუხისმგებლობის სიდიდესაც. დღეს საქმე ეხება წარმოების ისეთ საშუალებათა შექმნას, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემენ მოკლე ვადაში მივაღწიოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკურ განახლებას, უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერების მკვეთრ, ნახტომისებრ გადიდებას, ამავე დროს ზოგიერთ სახეობათა მანქანები და მოწყობილობა, რომელიც ლენინგრადში გამოდის, დღესდღეობით არ შეესაბამება თანამედროვე დონეს, მრეწველობის ტექნიკური განახლების მოთხოვნილებებს. დრო ერთ ადგილზე არ დგას და გუშინდელი მიღწევები უკვე აღარ არის საკმარისი, ჩვენ ახალი მწვერვალები უნდა დავლაშქროთ.

მ. ს. გორბაჩოვმა მოწონებით აღნიშნა ის ამბავი, რომ ლენინგრადში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და მართვის სრულყოფის, ეკონომიკის ინტენსიფიკაციის რელსებზე გადაყვანის პრობლემა წყდება მასშტაბურად მეცნიერულ საფუძველზე. ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ახლა ეს პრობლემა წინა პლანზე დგება საწარმო-გაერთიანებების, მშრომელთა კოლექტივების, სამეურნეო ორგანიზაციების, სამეცნიერო და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებების მუშაობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ ამ რამდენიმე დღის წინათ მიიღო გადაწყვეტილება სრულყოს მრეწველობის მეცნიერ მუშაკთა, კონსტრუქტორთა და ტექნოლოგთა შრომის ანაზღაურება, და ამასთან, ლენინგრადის საწარმოების გამოცდილებაც გაითვალისწინა.

(დასასრული მე-2 გვ.)



მეტროს ახალი სადგურები

გრაფიკის მტკიცე დაცვით, დიდი მონდომებითა და შემართებით იბრძვის ლენინის ორდენოსანი „თბილისგვირაბმშენის" სახელოვანი კოლექტივი.

მეტრომშენებლებს გადაწყვეტილი აქვთ, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 68 წლისთავისათვის დედაქალაქის მშრომელებს ახალი საჩუქარი მოუმზადონ, მწყობრში ჩააყენონ ახალი გადასარბენი გვირაბები, საშვიდნოემბროდ გადასცენ სადგურები „ღრმაღელე", „თემქა", „ვარკეთილი", „სავაგონო დეპო".

მშენებლობაზე დასაქმებული არიან № 5 და № 32 საგვირაბო რაზმის გვირაბგამყვანები, წარმატებებს აღწევენ ბრიგადები, რომლებსაც სოციალისტური შრომის გმირი ალექსანდრე დათაშვილი, კომუნისტები პეტრე ჭოველიძე და გიორგი მესხი, რომან ნადარაია, თემურ ფოფხაძე და სერგო ჩადუნელი ხელმძღვანელობენ. მათი ბრიგადის წევრები დიდი გადაჭარბებით — 120—180 პროცენტით ასრულებენ გეგმებს, ყველაფერს ღონობენ, რათა გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვონ, ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება.

სურათებზე: გვირაბგამყვანი კომკავშირელი რ. ტლაშაძე; მოწინავე გვირაბგამყვანები გ. ბიბილური, ა. ოროიძე, ბრიგადირი პ. ჭოველიძე და ა. ჩიხრაძე.

ვ. გენგიურის ფოტო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის" წოდების მინიჭების შესახებ

„გმირი დედის" წოდება მიენიჭოთ და „გმირი დედის" ორდენი გადაეცეთ დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

ბაგაევას ლიზა გიორგის ასულს — მუშას, ლაგოდეხის რაიონი.

ჭიქიას მინუშა ბიკენტის ასულს — დიასახლისს, ქალაქი გეგეჭკორი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. კუზნეცოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1985 წლის 29 აპრილი.

მეჩაიე ლაურეატი

სოფელი ჩხაკოურა ზამთრის მაღალი მთების კალთებზეა გაშენებული. აქ ძირითადად მესაქონლეობას მისდევენ. სუბტროპიკული კულტურები არ ხარობს, რადგან ალპურ სოფელში წელიწადის 6-7 თვეს თოვლი და ზამთრის სუსხი მძვინვარებს. ამიტომაც ყველას აოცებს, თუ როგორ გახდა ამ მაღალმთიან სოფელში გაზრდილი პატარა გოგონა ეთერ ვაშაყმაძე საქვეყნოდ ცნობილი მეჩაიე.

ეთერს ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ მეტად საინტერესო შრომითი ბიოგრაფია აქვს. 12 წლის გოგონა იყო, როცა ჩხაკოურის კოლმეურნეობას, როგორც ეკონომიურად ჩამორჩენილს, სოფელ ჩაისუბნის კოლმეურნეობაში ჩაის ათობით ჰექტარი პლანტაცია გადასცეს მუდმივი სარგებლობისათვის. გავიდა წლები, და ჩხაკოურელები წელში გამართა მეჩაიეობისაგან მიღებულმა შემოსავალმა, ამიტომაც ყველა, დიდი თუ პატარა, დაინტერესა ჩაის პლანტაციამ. მთელი სეზონი რჩებოდნენ ჩაისუბანში და ჩინებულად დაეუფლნენ ჩაის ფოთლის მოყვანისა და კრეფის აგროტექნიკას. ეთერმა კი იმთავითვე მიიქცია გამოცდილი მეჩაიეების ყურადღება. ჩაისუბნელ მოწინავე მკრეფავებსაც აოცებდათ ახალბედა გოგონას მიღწევები.

— ეს თითისტოლა გოგო კარგი მეჩაიე დადგება, — ამბობდნენ გამოცდილი ოსტატები ნუნუ შარაშენიძე, ციალა ჩიგოგიძე და სხვები.

1968 წელს დაამთავრა ე. ვაშაყმაძემ საშუალო სკოლა და მისი მშობლები ჩაისუბანში ჩამოსახლდნენ საცხოვრებლად. იმ წელს ეთერმა ჩაისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ოქროპირ შარაშენიძეს განცხადებით მიმართა, კოლმეურნეობის წევრად მიმიღეთო.

— როგორ, ამ ერთი ციცქნა ციცას ნახევარი ჰექტარი პლანტაცია მივუზომო? — გაოცდა თავმჯდომარე. — ამ ნაკვეთში, ბიძიკო, 5-6 ტონა ფოთოლი უნდა მოკრიფო, აპა!

ბოლოს, როგორც იქნა თავმჯდომარე დასთანხმდა და ჯერ 0,2 ჰექტარი პლანტაცია მიუზომა. ეთერი ნაწყენი დარჩა, მაგრამ იმედი ჰქონდა, მაღლე დაარწმუნებდა კოლმეურნეობის გამგეობას, რომ წარჩინებულ მკრეფავებს ტოლს არ დაუდებდა.

ახალბედა მეჩაიე უხვ მოსავალს იღებს, თანდათან აუმჯობესებს ნედლეულის ხარისხს. ასე გავიდა ფოთლის კრეფის 22 სეზონი.

ყველას გუშინდელსავით ახსოვს, თუ როგორ დააოსტატა მუყაითმა შრომამ რიგითი კოლმეურნე ქალი, რომელმაც პატარა საქმით დაიწყო ვეებერთელა საქმე — ჯერ იყო და, 0,2 ჰექტარ ჩაის უვლიდა, მომდევნო წელს 0,3 ჰექტარი მიუზომეს, მეოთხე სეზონში 0,5 ჰექტარის მოვლა-პატრონობა მიანდეს, მეხუთე სეზონში 1 ჰექტარ პლანტაციას უვლიდა, ხოლო ეს რამდენიმე წელია 1,5 ჰექტარ ჩაის ფართობს უვლის. შარშან 26 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა და გადამამუშავებელ წარმოებას ჩააბარა. ამ შრომითი მამაცობისათვის მას საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა მიენიჭა.

— როცა სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გავხდი, — გვითხრა ეთერმა, — მეგონა, ცამდე ავმაღლდი-მეთქი. არ ვიცი, რა ბედნიერება იყო ეს — ზღვა სიხარული, ახალი მოვალეობის შეგნება თუ ყველაფერი ერთად.

ისიც საყურადღებოა, რომ ეთერ ვაშაყმაძე ... რაიონში ..., რომელმაც 1981 წელს ჩაის რეკორდულ მოსავალთან ერთად მაღალი ხარისხის ნედლეულის მიღებისათვის თამარ უფუფუნიას სახელობის პრიზი დაისაკუთრა.

ეთერ ვაშაყმაძე ოთხი ვაჟის ბედნიერი დედაა. უფროსი—მამუკა წითელი არმიიდან ახლახან დაბრუნდა და დაოჯახდა კიდეც. მეორე — ფირუზა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტია, რამაზმა საშუალო სკოლა დაამთავრა და წითელ არმიაში მსახურობს, ყველაზე უმცროსი, ზაზა, 8 წლისაა; ეთერის ქმარი კარლო სახრიგადო პარტიული ორგანიზაციის მდივანია. ამ ბედნიერ ოჯახს ამას წინათ „გაზ-24" მარკის „ვოლგა" ურიგოდ მიჰყიდეს.

ეთერი მარტო კარგი მეჩაიე როდია, იგი აქტიური საზოგადოებრივი მუშაკიც გახლავთ. არის საქართველოს კომპარტიის ჩოხატაურის რაიკომის წევრი. აქტიურად მონაწილეობს სოფლის საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში.

სახელოვანი მეჩაიე წელს საგანგებოდ მოემზადა ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის ორგანიზებულად დაწყებისათვის. 1,5 ჰექტარი პლანტაცია სანიმუშოდ დაამუშავა, შეიტანა ორგანული და მინერალური სასუქები, დროზე დაბარა და ვადაზე ადრე დაამთავრა ბუჩქების გასხვლა. ე. ვაშაყმაძეს გადაწყვეტილი აქვს წლეულს 27 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფოს, საიდანაც სულ ცოტა 78 პროცენტი პირველი ხარისხისა იქნება.

ჩაის ნედლეულის ხარაჯიანი მოსავლის ბრძოლაში ეთერ ვაშაყმაძემ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია მეზობელი ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათის კოლმეურნეობის წარჩინებული მეჩაიე ნანული მელივა. თუ ვინ გაიმარჯვებს ამ საინტერესო შეჯიბრებაში, ამას შემოდგომაზე შევიტყობთ.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

მხატვარ თ. ხუციშვილის ნახატი.

მოსავალი უხვი რომ იყოს

დათვალიერებამ გამოავლინა

შრომის ორგანიზაციის უგანწესო ფორმის გამოყენება მევენახეობის განვითარების დამახასიათებელი თავისებურება გახდა სიღნაღის რაიონში. ამას, კერძოდ, ყურადღება მიაქციეს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ვენახების მდგომარეობისადმი კონტროლის მუდმივმოქმედი ჯგუფის წევრებმა, რომლებიც ათვალიერებენ კახეთის მეურნეობათა ვენახებს. სოფელ ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში უგანწესო ბრიგადას მეთაურობს შრომის ვეტერანი შ. ჭაბაშვილი. კოლმეურნეობასთან დადებული ხელშეკრულებით კოლექტივის წევრებს მიუჩინეს ორმოცდაათ ჰექტარამდე ვენახი. მეურნეობამ იკისრა ეზრუნა შხამქიმიკატებითა და სასუქებით ამ უბნების მომარაგებისათვის, ტექნიკით დახმარებისათვის. მევენახეებმა, თავის მხრივ ვალდებულება იკისრეს ყველა სამუშაო განახორციელონ შემჭიდროებულ ვადებში და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე. ყურძნის მოსავლის გეგმის გადაჭარბებით შესრულების შემთხვევაში ისინი იღებენ ზეგეგმით მოწეული ყურძნის სამოც პროცენტს ფულადი გამოხატულებით.

შემოწმებამ ცხადყო, რომ ბრიგადის წევრები სიტყვის პატრონი არიან. მევენახეებმა ვალდებულება იკისრეს მიმდინარე სეზონში ჰექტარზე მოიწიონ 110 ცენტნერი მოსავალი, შარშანდელთან შედარებით მეტი. საუკეთესო აგროვადებში და ხარისხიანად მოხნეს მწკრივთშორისები და გააფხვიერეს ნიადაგი, გასხლეს და აახვიეს ვაზი, ჰერბიციდები შეიტანეს მთელ ფართობზე. ახლა მიმდინარეობს ვენახების შეწამვლა, რისთვისაც იყენებენ წნორის მანქანა-ტრაქტორთა პარკის მექანიზატორების მიერ დახვეწილ სპეციალურ აგრეგატს. მანქანა ერთი გავლით შხამქიმიკატებით წამლავს ორ მწკრივს ერთბაშად. ამის მეოხებით იზოგება დრო, საწვავ-საპოხი მასალები. სიახლეს უკვე ყველგან იყენებენ რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

კარგად არის დაყენებული საქმე სოფელ ქვემო მაჩხაანის კოლმეურნეობაში. ვენახები მოვლილია, ყველა აგროტექნიკური ღონისძიება ხორციელდება მოკლე ვადებში, ხარისხიანად. აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალგაზრდა ნარგავებს, რომლებიც გაშლაგებულია ცამეტ ჰექტარ ფართობზე. ახალგაზრდა ვაზს ზრდიან ჩქაროსნული მეთოდით, რომლის მეოხებითაც მოსავალს მიიღებენ ჩვეულებრივზე ორი წლით ადრე. სიახლე აითვისეს სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაშიც, სადაც იგი დაინერგა თორმეტ ჰექტარ ფართობზე.

ხირსის საბჭოთა მეურნეობაში ექვს ჰექტარზე დარგულ ახალგაზრდა ნერგებს ვერ მოუარეს გულდასმით, და მათ სარეველები მოედო.

სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობის № 3 ბრიგადისათვის მიჩენილი ვენახები აგრეთვე არცთუ ისე გულდასმით არის დამუშავებული, ბევრ ადგილას იქაც სარეველა ბალახი მოედო. უხარისხოდ არის შესრულებული შპალერების რემონტიც. სხვათა შორის, მეურნეობის ხელმძღვანელობა ამას ხსნის საყრდენი ბოძების დაბალი ხარისხით, რომლებსაც მას აწვდის რუსთავის № 1 რკინაბეტონის ქარხანა.

როგორც გამოირკვა, მსგავსი მდგომარეობაა რაიონის ბევრ მეურნეობაში. ამიტომაც, როგორმე რომ აინაზღაურონ ბოძების ნაკლებობა, მევენახეებმა დაიწყეს მისი მერქნისაგან დამზადება. ამ დროს კი ვენახებში სამუშაოს ვერ აუდიან...

მთლიანად რაიონში თითქმის ყველა აგროტექნიკური ღონისძიება ხორციელდება წინა წლების ტემპის გასწრებით, საგეგმო დავალებების გადიდებით.

საგარეჯოს რაიონი რიგით მეორეა, რომელსაც ეწვია ჯგუფი.

ადგილობრივი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწათმოქმედებს დიდი გარჯა მოუწევთ, რათა აინაზღაურონ წინა წლების რთული ამინდის პირობებით გამოწვეული დანაკარგები. ახლა, მაგალითად, ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა შეაჩერონ ვაზის მავნებელთა გავრცელება. ვენახებს წამლავენ შხამქიმიკატებით, ახორციელებენ სხვა ღონისძიებებს, რათა დაიცვან ვაზი. ხორციელდება ღონისძიებანი პლანტაციების სიმეჩხერის ლიკვიდაციისათვის. სამწუხაროდ, ეს ღონისძიებები მასობრივი ხასიათის არ არის იმის გამო, რომ მეურნეობები თავის დროზე არ იყვნენ უზრუნველყოფილი საკმაო რაოდენობის ნერგებით.

რაიონში ხვნის, დაბარვის, ჰერბიციდების შეტანის დროის ჩამორჩენის მიუხედავად, ბევრმა მეურნეობამ ამას საკმაოდ წარმატებით გაართვა თავი. ავიღოთ, მაგალითად, საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა. ვენახს აქ უკავია დაახლოებით ათასი ჰექტარი, რომელთაგან 842 სრულმსახურიანია. ფართობების უმრავლესობა კარგ მდგომარეობაშია. გადაჭარბებით შესრულდა საგაზაფხულო ხვნისა და დაბარვის გეგმები, სხვა ოპერაციები.

ნაკლოვანებებიც არის: სათანადოდ არ არის მოვლილი 17 ჰექტარი ნარგავები, რომელთაგან ექვსი ჰექტარი ახალშენია, საბჭოთა მეურნეობის ყველა ფართობზე არ შეუტანიათ ჰერბიციდები.

მეურნეობას ბევრი პრობლემა აქვს. არ ყოფნის მუშახელი, ტექნიკა. მაგალითად, ოცი ტ-25 ტრაქტორი, თხუთმეტი ოვტ-1200 სასხურებელი, კვლავინდებურად მწვავეა შხამქიმიკატების გასაზავებელი წყლით საბჭოთა მეურნეობის უზრუნველყოფის პრობლემა. მისი მოტანა რამდენიმე ათეული კილომეტრი მანძილიდან უხდებათ.

ჩინებულ მდგომარეობაშია მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ზვრები. წამყვან კულტურას აქ უკავია 756 ჰექტარი, რომელთაგან 600 მსხმოიარეა.

ვენახებში მანაველები ყველა სამუშაოს ასრულებენ დასახული ვადების გასწრებით, ხარისხიანად. სამოცდაათ ჰექტარ ვენახში ვაზი გამოჰყავთ დაჩქარებული მეთოდით. წელს, ვადაზე ორი წლით ადრე, აქ მიიღებენ ყურძნის პირველ მოსავალს.

გასულ, ამინდის პირობებით უაღრესად არახელსაყრელ წელს, მანაველებმა მოიწიეს 4500 ტონა ყურძენი, გეგმაზე ასი ტონით მეტი. მუშაობის ტემპი იმედს იძლევა, რომ ამ სეზონში კარგ მოსავალს მოიწევენ.

სანერგე მასალის წარმოების გადიდება აქვს დასახული მიზნად ჩაილურის სანერგე მეურნეობას. აქ აგროვადებში დაამთავრეს ორ მილიონზე მეტი ნერგის მყნობა.

(საქინფორმი).

ჩვენი მიმოხილვა რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობების მიხედვით

სიმინდის თესვა გვიანდება!

აგროვადებში ნათესი და კარგად მოვლილი სიმინდის ყანა უხვ მოსავალს იძლევა. ამიტომაც მოწინავე საზოგადოებრივ მეურნეობათა სპეციალისტები, მემინდვრეები ყოველთვის ცდილობენ დროზე დაამთავრონ თესვა. რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ბოლო ცნობების მიხედვით, სამარცვლე და სასილოსე სიმინდის აგროვადებში თესვა მოათავეს ახმეტის, ბორჯომის, ყვარლის, თელავის, საგარეჯოს, სიღნაღის, წითელწყაროს რაიონებმა. სამარცვლე სიმინდის თესვა დაამთავრეს გურჯაანის, დმანისის, დუშეთის რაიონებმა. ეს რაიონები ამთავრებენ აგრეთვე მწვანე მასისათვის განკუთვნილი სიმინდის თესვას.

საერთოდ კი, რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში სიმინდის თესვა ერთობ ჩამორჩება. 133806 ჰექტარიდან დათესილია 66.046 ჰექტარი, რაც საგეგმო დავალების 49 პროცენტია. საგანგაშო და დამაფიქრებელია ის, რომ გვიანდება სამარცვლე სიმინდის თესვა, 75.310 ჰექტარიდან დათესილია 38.447 ჰექტარი. დავალება სანახევროზე ოდნავ გადამეტებით არის შესრულებული.

სიმინდის თესვაში ჩამორჩენაა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობაში. აფხაზეთში სიმინდის თესვის გეგმა 10 პროცენტით არის შესრულებული, ნაცვლად 12.635 ჰექტარისა დათესილი იყო 1.255 ჰექტარი. მახარაძის რაიონს სამარცვლე სიმინდის თესვის გეგმა 26 პროცენტით ჰქონდა შესრულებული, ლანჩხუთისას — 30 პროცენტით, ცაგერისას — 24 პროცენტით, ჩოხატაურისას — 28 პროცენტით, სამტრედიისას 28 პროცენტით, ამბროლაურისას — 27 პროცენტით, აბაშისას — 27 პროცენტით...

სიმინდის უხვი მოსავლის მიღება, როგორც აღვნიშნეთ, დროზე და წესების დაცვით თესვასა და ნათესების კარგ მოვლა-პატრონობაზეა დამოკიდებული. საზოგადოებრივ მეურნეობათა და რაიონების პარტიული და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთა საპატიო ვალია მკვეთრად დააჩქარონ თესვის ტემპი, მოკლე დროში დაამთავრონ სიმინდის თესვა.

ძალზე ნელი ტემპით ითესება აგრეთვე სოია. რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში დასათესია 19.329 ჰექტარი. ჯერჯერობით დათესილია საგეგმოს 12 პროცენტი, 2.235 ჰექტარი. აბაშის რაიონში 1.148 ჰექტარის ნაცვლად დათესილი იყო მხოლოდ 34 ჰექტარი, ლანჩხუთის რაიონში 1.433 ჰექტარიდან — 26 ჰექტარი, ცხაკაიას რაიონში 1.470 ჰექტარიდან — 85 ჰექტარი. სოიის თესვა ჩამორჩება აგრეთვე ხობის, წალენჯიხის, სამტრედიის, მახარაძის, ზუგდიდის, ზესტაფონის, გეგეჭკორის, ვანის რაიონების, ჭიათურის, წყალტუბოს და ტყიბულის ზონების ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობაში.

უმოკლეს დროში დავამთავროთ თესვა! — ასეთია ახლა მემინდვრეთა სადღეისო განაწესი.

სიტყვისა და საქმის ერთიანობა წარმატების საფუძველია

(დასასრული)

დასახულია გაძლიერდეს ხელფასის მასტიმულირებელი როლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, გაანალიზოს ამ კატეგორიის სოციალისტთა ეკონომიკური დიფერენციება იმით, რომ შეასრულონ სამუშაოები ნაკლები რაოდენობის მუშათა ძალებით. საწარმოთა ხელმძღვანელებს უფლება მიეცეთან დაიწეწონ კონსტრუქტორებსა და ტექნოლოგებს თანამდებობრივი საოგოების არსებითი სხვა რთი რიგი სამუშაოთა დიდი შედეგიანობით შესრულებისათვის. ეს ჩვენი ინჟინერ-ტექნიკური შემადგენლობის შემოქმედებითი საქმიანობის გაკეთილშობილების ქმედითი ბერკეტი იქნება.

თავის გამოსვლაში მ. ს. გორბაჩოვმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება და ეკონომიკის ინტენსიფიკაცია მოითხოვს გაუმჯობესებულ საქმის მდგომარეობა კაპიტალურ მშენებლობაში.

უკანასკნელ ხანს მთელი რიგი დადგენილებანი იქნა მიღებული ამ დარგის განვითარების ძირეულ პრობლემებზე. საქმე ეხება კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის, ორგანიზაციისა და მართვის გაუმჯობესებას, პროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის, მშენებლობაში შრომის ანაზღაურებისა და სტიმულირების სისტემის ორგანიზაციის სრულყოფას. ამიტომად მზადდება კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი—იგი ეხება ინდუსტრიალიზაციის შემდგომ განვითარებას და შრომის ნაყოფიერების ზრდას კაპიტალურ მშენებლობაში. ახლა მთავარია ნამდვილად გაუწეოთ ორგანიზაცია ამ დადგენილების შესრულებას. ვფიქრობ, ხაზი გაუსვა მ. ს. გორბაჩოვმა, ლენინგრადელები მაგალითს გვიჩვენებენ ამ საქმეშიც.

შემდეგ მ. ს. გორბაჩოვი შეეხო ფრონტის მასალატექნიკურის მიმოქცირების ამოცანებს. განვითარებული სოციალიზმის პირობებში, როდესაც უდიდესი ეკონომიკური პოტენციალია შეძენილი და საზოგადოებრივ წარმოებაში ყოველწლიურად ებმება კოლოსალური მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, მათი რაციონალური, ეფექტიანი გამოყენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიული კურსი ხდება. მან ეკონომიკის სხვადასხვა დარგის — მანქანათმშენებლობის, მეტალურგიის, მშენებლობის, მომპოვებელი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, აგრეთვე არასაწარმოო სფეროს მუშაობის კონკრეტული მაგალითებითა და ფაქტებით ცხადყო, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ძალზე დიდია მატერიალური დანაზოგება და დანაკარგები, და რომ მთლიანად ერთიულ ეროვნულ შემოსავალზე დიდი ნეგდლეულის, ენერგიისა და რესურსების ხარჯვა. ამ საქმის გადაჭრით გამოსწორებისათვის საჭიროა სახალო მეურნეობის ყველა დარგში განმარტიელდეს მოშჭირნე მეურნეობრიობის, მექანიზმის სრულყოფისა და მასალატევადობის შემცირების, აგრეთვე უყაირათობისა და მფლანგველობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა მთელი კომპლექსი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ უნდა გაძლიერდეს შუამავლობა, რომელიც დაკავშირე ბულია ბრძოლასა ბრძოლელთა ნიადგ მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების უფრო სრულ დაკმაყოფილებასთან. ამ საქმეში მთავარია გვესმოდეს რომ ჩვენ დაკვდგა ერთგვარი ახალი ეტაპი, ეტაპი, როდესაც წინა პლანზე დგება არა მარტო და არა იმდენად რაოდენობრივი მაჩვენებლები, რამდენადაც ხარისხის, ასორტიმენტის პრობლემები, საერთოდ ყოველივე იმის პრობლემები, რასაც მაღალი საომოხმარებლო თვისებების მქონე საქონელს ვეწოდებთ. მან კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა ელექტროენერგეტიკასა და ოფლის მსუბუქი მრეწველობის შუამობის გამო.

მთელ ჩვენს კადრებს კარგად უნდა ესმოდეთ ამ დიდი სახალხო-სამეურნეო პრობლემის სოციალური და პოლიტიკური ძნიშვნელობა. ამ შუამობას, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, ახლა პროგრამული ხასიათი ენიჭება, ვამომშედეგნო ჩვენი სახალხო მეურნეობის ბაზისი ჩვენი რეზერვებს, აგრეთვე ქვეყნის ყველა რეგიონის რესურსებს, ვამუშავებთ სპეციალური კომპლექსურ პროგრამას.

მ. ს. გორბაჩოვმა დიდი ყურადღება დაუთმო ხუთწლეული მრეწველობით დამთავრების, სკკპ XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრის საკითხებს. პარტიულ ორგანიზაციებში კარგი გამომაურება და სრული გაგება პოვა აპრილის პლენუმის მოთხოვნებმა, რომ საკითხა მთელ მუშობას მიეხიბოს აქტიური, საქმიანი და ამავე დროს კრიტიკული ხასიათი. ახლა მთავარია დავამყაროთ და განვავითაროთ ეს განწყობილება, ვიზრუნოთ ამისთვის, რომ პარტიულ ორგანიზაციათა ანგარიშებნი ორიენტირნენ გახდეს ნამდვილი დათვალიერება მუშობისა, რომელსაც ვეწევით ეკონომიკის დარგში, ადამიანთა აღზრდის დარგში; მოგვეგლინოს კარგ ბაზად ჯიოლობის სერიოზული განსჯა-განზოგადებისათვის.

სამწუხაროდ, აქ არსებული ხარვეზები ერთობ გამძლეა, დიდია ძველი და ყველგასული ჩვეულების ძალა. საჭიროა აბლებურად შეეხეოთ მთელ არსებულ ნაკლოვანებებს, ნეგატიურ მოვლენებს, ყოველგვარ შეცდომებს. სახალო მეურნეობის მართვის სისტემის სრულყოფისას ამავე დროს უნდა ვეფიქროთ იმაზეც, რომ პარტიული კომიტეტებისა და პარტიული ორგანიზაციების მუშობის ფორმები და მეთოდები, მათი ორგანიზაციული სტრუქტურა, რაც შეიძლება სრულად შეესაბამებოდეს პარტიის გეგმების წარმატებული რეალიზაციის ახალ ამოცანებს.

მ. ს. გორბაჩოვმა ხაზი გაუსვა: პარტიულ კომიტეტებს კარგად უნდა ესმოდეთ, რომ კადრებს, რომლებიც ამ პერიოდში დადგებიან ხელმძღვანელობად, დაეკისრებათ სერიოზული პასუხისმგებლობა, ისინი სათავეში უნდა ჩაუდგნენ ერთობ რთულ მუშობას მომავალ ხუთწლედში ეკონომიკური, სოციალური და სულიერი პროგრესის დაჩქარული ეგზემების განსახორციელებლად. სწორედ ამის კვალობაზე უნდა შეეჯარიოთ და გავანაწილოთ მუშაკები.

შეეხო რა იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშობის საკითხებს, მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ პარტიული ორგანიზაციები ეს დარგი დღეს უნდა გამოირჩეოდეს განსაკუთრებული მოკნინლობით, ზუსტი და ოპერატიული რეაგირებით ცხოვრების პრობლემებსა და მოელენებზე. უკანასკნელ ხანს ჩვენი საზოგადოების ყველა ფენაში მწვავედ და მტკიცედ აყენებენ ზნეობრივი რიგისა და სოციალური სამართლიანობის საკითხებს. საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ ჩვენი ქვეყნის მიღწევებს ცხოვრების ყველა სფეროში, კარგად ესმით ჩვენს წინსვლა-განვითარებაში არსებული პრობლემებიც, მზად არიან კვლავაც აქტიური მონაწილეობა მიიღონ კომუნისტურ შენებლობაში. ამასთანავე ისინი შეეწყნარებლად ეკიდებიან ბოროტმოქმედების ფაქტებს, კანონის, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის დაღვევებს, ბიუროკრატიზმს, მექთახორობის, სპეკულაციის მოვლენებს და სხვა ნეგატიურ გამოვლინებებს. ჩვენ კიდევ უფრო მტკიცედ უნდა დავაყენოთ საკითხები უშრომელი შემოსავლის დაუშვებლობის შესახებ, შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით ანაზღაურების პრინციპის მკაცრად დაცვის შესახებ.

დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავის დღესასწაულსა, ხაზი გაუსვა დასასრულს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ფრთა შეასხა მთელ საბჭოთა ხალხს. ეჭვი არ არის, რომ კვლავაც შეეინარჩუნებთ ამ მაღალ პოლიტიკურ და შრომითს განწყობილებას, რომელიც გამსჭვალულია საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმისა და სკკპ პოლიტიკის აქტიური მხარდაჭერის სულისკვეთებით, მზადყოფნით — წარმატებით შეასრულონ ლენინური პარტიის დიადი წინასწარდასახულნანი.

ამონაწერი მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა დასკვრით დიდი უურადღებით მოისმინეს; სიტყვის დროს ხშირად გაისმოდა ხანგრძლივი ტაში.

• • •

ამავე დღეს მ. ს. გორბაჩოვი ლენინგრადიდან მოსკოვს გეგმაზეგრა. პულკოვოს აეროპორტში მის გასაცილებლად მოვიდნენ ლ. ნ. ზაიკოვი, პარტიის სოლოქო კომიტეტის მეოთოს წევრები, სკკპ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მდივნები.

• • •

მოსკოვის აეროდრომზე მ. ს. გორბაჩოვს დაჰვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ჰ. ა. ალიევი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომეკო, ვ. ი. ვოროტნიკოვი, ი. კ. ლიგაჩოვი, ნ. ი. რიჟკოვი, ნ. ა. ტიხონოვი, ვ. ვ. ჩებრიკოვი, სხვა ამხანაგები.

(საკვლეა).

შრომის ეფექტიანობისა და ხარისხისათვის ბრძოლაში

დღეს მილიონობით მშრომელის, პროფკავშირის წევრის ახლი ერთი საკმენი გამსკვალული ერთი მისწრაფებით — უზრუნველყონ ხუთწლეული წარმატებით დამთავრება, შეხვდნენ პარტიის XXVII ყრილობას შრომითი საჩუქრებით. ეს თქვა 17 მაისს მოსკოვში გამართულ საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმზე, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შედეგები და პროფკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანები პარტიის XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

მოხსენება გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ შ. ა. შალაევმა.

აღინიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადწყვეტილებანი სახავენ ახალ ეტაპს პარტიის სტრატეგიული გეზის რეალიზაციაში, რომლის მნიშვნელობა ნრულყოს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარე. **მუშები**, მოსამსახურეები, მინდვრებისა და ფერმების მშრომელები დადგნენ სკკპ XXVII ყრილობის ღირსეშესაბ დამკვრელურ ვახტზე. მოსკოვის მშრომელებმა გადაწყვიტეს პარტიის ყრილობის სამშადისი აღნიშნონ დამკვრელური მუშაობით და დიდი ოქტომბრის 68-ე წლისთავისათვის გაანადღონ სამრეწველო წარმოების მოცულობის ხუთწლიანი გეგმა. უკრაინის, ლენინგრადის, ბელორუსიის, ლიტვის, სვერდლოვსკის, ქვეყნის სხვა რესპუბლიკების, ქალაქებისა და რაიონების მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა გამოიჩინეს ინიციატივა — მიუძღვნან კომუნისტური პარტიის ყრილობას 27 დამკვრელური შრომითი დეკადა.

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გაძლიერონ მუშობა შრომელთა მობილიზაციისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის მიერ დასახული უბრალელესი ამოცანის დადასრულებამდე — შეასრულონ 1985 წლისა და მთლიანად მეთრამეტე ხუთწლედის გეგმა, მოამზადონ საინდელი საფუძველი მეთორმეტე ხუთწლედის ტაკიკე სტარტისათვის. აღინიშნა, რომ საჭიროა გადაჭრით ფიზიკურ ბუნებრივ პროდუქციის ხარისხი, კარდინალურად გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიის ესწრაფესი დანერგვის და ათვისების გზით.

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმმა პროფკავშირულ ორგანიზაციათა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ისინი უშუალოდ აგებენ პასუხს პარტიის გეზის განხორციელებისათვის, რომლის მიზანია დამკვიდროს სოციალისათვის ბასუხისმგებლობის ბუნებრივ ფორმა. ეს ნიშნავს, ბელორუსიის, ლიტვის, სვერდლოვსკის, ქვეყნის სხვა რესპუბლიკების, ქალაქებისა და რაიონების მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა გამოიჩინეს ინიციატივა — მიუძღვნან კომუნისტური პარტიის ყრილობას 27 დამკვრელური შრომითი დეკადა.

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გაძლიერონ მუშობა შრომელთა მობილიზაციისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის მიერ დასახული უბრალელესი ამოცანის დადასრულებამდე — შეასრულონ 1985 წლისა და მთლიანად მეთრამეტე ხუთწლედის გეგმა, მოამზადონ საინდელი საფუძველი მეთორმეტე ხუთწლედის ტაკიკე სტარტისათვის. აღინიშნა, რომ საჭიროა გადაჭრით გაუჭირავნეთ ბოროტმოქმედების ფაქტებს, კანონის, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის დაღვევებს, ბიუროკრატიზმს, მექთახორობის, სპეკულაციის მოვლენებს და სხვა ნეგატიურ გამოვლინებებს. ჩვენ კიდევ უფრო მტკიცედ უნდა დავაყენოთ საკითხები უშრომელი შემოსავლის დაუშვებლობის შესახებ, შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით ანაზღაურების პრინციპის მკაცრად დაცვის შესახებ.

დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავის დღესასწაულსა, ხაზი გაუსვა დასასრულს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ფრთა შეასხა მთელ საბჭოთა ხალხს. ეჭვი არ არის, რომ კვლავაც შეეინარჩუნებთ ამ მაღალ პოლიტიკურ და შრომითს განწყობილებას, რომელიც გამსჭვალულია საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმისა და სკკპ პოლიტიკის აქტიური მხარდაჭერის სულისკვეთებით, მზადყოფნით — წარმატებით შეასრულონ ლენინური პარტიის დიადი წინასწარდასახულნანი.

ამონაწერი მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა დასკვრით დიდი უურადღებით მოისმინეს; სიტყვის დროს ხშირად გაისმოდა ხანგრძლივი ტაში.

• • •

ამავე დღეს მ. ს. გორბაჩოვი ლენინგრადიდან მოსკოვს გეგმაზეგრა. პულკოვოს აეროპორტში მის გასაცილებლად მოვიდნენ ლ. ნ. ზაიკოვი, პარტიის სოლოქო კომიტეტის მდივნები.

• • •

მოსკოვის აეროდრომზე მ. ს. გორბაჩოვს დაჰვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ჰ. ა. ალიევი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომეკო, ვ. ი. ვოროტნიკოვი, ი. კ. ლიგაჩოვი, ნ. ი. რიჟკოვი, ნ. ა. ტიხონოვი, ვ. ვ. ჩებრიკოვი, სხვა ამხანაგები.

(საკვლეა).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

განვამტკიცოთ ცხოვრებასთან სკოლის კავშირი

ოცდა მეტი შუშის სპეციალობას ეუფლებიან ზესტაფონის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები. შარშან 160 კურსდამთავრებულმა სამწყოფის ატესტატთან ერთად მიიღო მძღოლის მოწმობა, 325 კურსდამთავრებულმა კი ტრაქტორისტის სპეციალობის მიღების მოწმობა ახალგაზრდების დიდმა უმრავლესობამ შუშობა დაიწყო შრომაში კოლმეურნეობებში, მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ყალიბდება სპეციალური ცენტრი, სადაც მომავალი სასწავლო წლიდან სკოლის მოსწავლეები დაეუფლებიან გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლებს.

ესა და სხვა ფაქტები, რომლებიც მოწმობს რაიონის ზოგადსაგანმანათლებელი სკოლების მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სრულყოფას, მოიყვანეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამართლებლობა და კულტურის კომისიის სხდომაზე. მისმა მონაწილეებმა განხილეს საკითხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმისა და სსრ კავშირის მეთორმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სკოლის ტალეგათა შესაბამისად სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად. სათანადო რეკომენდაციები მიეცათ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს.

კომისიის სხდომის შედეგები შეიჯამა მისმა თავმჯდომარეს, დეპუტატმა ნ. ვასაძეს.

კომისიის მუშობაში მონაწილეობდნ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სარაძე. (საქინფორმი).

ᲛᲙᲐᲪᲠᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ...

გუშინ პრესაში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“. მასში ხაზგასმულია: „პარტიული ორგანიზაციებს წინადადება მიეცეთ უფრო მკაცრად მოსკითხონ პარტიის იმ წევრებს, დ- უფროსებს ყოლისა, ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლებიც ბოროტად იყენებენ ალკოჰოლს, არ აღავნენ ლოთობის უფლებს, თავს არიდებენ უშუალო მონაწილეობას ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში“.

ამ აზრით საგულისხმოა ახალგაზრდა მრეწველობის კომბინატის პარტორგანიზაციის კრების გადაწყვეტილება, რომელმაც სკკპ რიგებიდან გარიცხა ჯიჯის ქარხნის წარმოების უფროსი ვ. ჩანგლიშვილი.

ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘ

● ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲣᲜᲘᲛᲝᲡᲐᲒᲚᲘᲐᲜᲘ ᲯᲘᲯᲘᲡᲘ, ᲛᲐᲗᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘ ● ᲠᲐᲡ ᲙᲘᲠᲘᲜᲓᲔᲑᲐ ᲐᲮᲚᲝᲛ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲖᲔ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲠᲝ-ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲒᲐᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ „ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲛᲔᲣᲜᲘᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ — ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ!

ᲛᲔᲬᲐᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘ

ᲛᲘᲪᲮᲝᲛᲐᲨᲘ, წეროვანთან ყურადღებას იპყრობს გემოვნებით ნაგები სამსართულიანი შენობა, რომელიც მარადმწვანე წიწვიან მეცენარეებსა და ყვავილნარებს შორის არის ჩადგმული. ბეკმარ-ფიზიკოსი ალმაროდ ბრანიტის დაფაზე ლამაზად ამოტეიფრულია: „ი. ნ. ლომოურის სახელობის მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“. შენობის სართულებს შორის მოწყობილი გამოფენები — დიაგრამები, ნახაზები, სამობილო გეგმები, ახალი ჯიშებისა და ამ ჯიშების გამომყვანთა ფოტოსურათები, ინსტიტუტის მუშაობის სტრუქტურა და ბევრი სხვა... ყურადღებით დათვალიერების შემდეგ მნახველს წარმოდგენას აძლევს იმ ოდენური (მუშაობისათვის ოუციღებელ) პირობების შესახებ, რომელიც დირექციას აქ შეუქმნია მეცნიერ მუშაკთა დიდი კოლექტივისათვის.

სახელოობრ, ინსტიტუტი ამუშავებს მიწათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებულ სისტემებს რესუბლიკის რიელი ბუნებრივი პირობებისათვის. ხუთი საკალელი სადგური, ოთხი ექსპერიმენტალური მეურნეობა, ერთი სასელექციო სადგური, ორი საყრდენი პუნქტი და მეთესლეობის სპეციალიზებული მეურნეობები, რომლებიც სხვადასხვა ბუნებრივ ზონაში მდებარეობენ, თითქმის მთლიანად მოიცავენ რესუბლიკის მრავალფეროვან ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს. მათი ამოცანაა მინდვრისა და ბოსტნეულ-ბაღეულო კულტურების, კარტოფილის ელიტური თესლის წარმოება ჯიშთაცვლისა და ჯიშთგანახლებისათვის.

ამასთან ინტერესს მოკლებული არ იქნება ისიც, თუ ვიტყვით, რომ ამიერკავკასიის სასელექციო ცენტრს, სადაც გაერთიანებულია აზერბაიჯანის, სომხეთის, ჩრდილოეთ ოსეთის და საქართველოს ვეიდი სამეცნიერო-კვლევითი თანამშრომლებისა და სასწავლო დაწესებულება, მიწთმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ხელმძღვანელობს.

ქვეყნის სასურსათო პროგრამის რეალიზაციის საფუძველზე წარმოადგენს წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თართო დანერგვა. სელექციისა და მეთესლეობის შემდგომი გაუმჯობესებისა, მისი სამეცნიერო-სარეწველო საფუძველზე გადაყვანის და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებებსა და წარმოებას შორის უფრო მჭიდრო კავშირის დასამყარებლად რესუბლიკის სადარეგიონო ორგანიზაციის გადაწყვეტილებით მიწთმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და გაერთიანება „საჭალმშრეწვის“ ბაზაზე ამ რამდენიმე წლის წინათ შეიქმნა სამეცნიერო-სწარმოო გაერთიანება „თავთავი“.

სამეცნიერო-სწარმოო გაერთიანება „თავთავმა“ მისი გენერალური დირექტორის მიხეილ ღვინჭილიას ხელმძღვანელობით და საქმისადმი დიდი პასუხისმგებლური მიდგომით არსებობის მოკლე ხნის განძლზე დიდი გარდატეხა მოახდინა. და დღეს შედეგები უკვე თვალსაჩინოა.

ინსტიტუტის მიერ შექმნილია და 1981 წლიდან დარაიონებულია სიმინდის მარტივი ხაზთაშორისო ჰიბრიდი „ქართული-9“. ბეკმარ-ფიზიკოსი ალმაროდ ბრანიტის მისი მარცვლის პოტენციური შესაძლებლობაა 80-90 ცენტნერი და წარმოებაში გავრცელებულ „ეიერ-42“ შესადარებელ ჰიბრიდს ჰექტარზე 15 ცენტნერით ჯობრბს. ჰიბრიდი საადრეოა, სავეგეტაციო პერიოდი 105-110 დღეს ვრძელდება. მეორე მარტივი ხაზთაშორისი ჰიბრიდი „ქართული-52“ გამოყვანილი და დარაიონებულია 1982 წლიდან, რომლის მარცვლის მოსავლიანობის პოტენციური შესაძლებლობა ჰექტარზე 120-130 ცენტნერს აღწევს. შესაბ ჰიბრიდი — „ენგური“ დარაიონებულია 1984 წლიდან და მისი მარცვლის მოსავლიანობა ჰექტარზე 150 ცენტნერს აღწევს. ეს ჰიბრიდები იმდა 1983 წლიდან დარაიონებულია ხორბლის ჯიში „აისი“. იგი ითესება შემოდგომაზეც და გაზაფხულზეც. მოსავალი ჰექტარზე 60-70 ცენტნერს აღემატება და დარაიონებულ ჯიშს „უფროსს“ შეეპარება ჰექტარზე 6,5 ცენტნერით. „აისის“ ერთ-ერთი უპირატესობა ისიც არის, რომ საშემოდგომო ხორბლის მოყვანის ძირითად ზონაში, ქარებისაგან ან სხვა მიზეზით დაფუძული ნათესები გაზაფხულზე ამ ჯიშის თესლით გადათესვებსა და იღებენ უზე მოსავალს.

ყურადღებას იმსახურებს საშემოდგომო ჯიშის ქერი „ყაზბეგი“, რომელიც უხვმოსავლიანობასთან ერთად (ჰექტარზე საშუალოდ 63 ცენტნერი, რაც დარაიონებული ჯიშის მოსავლეზე 3,8 ცენტნერით მეტია) ჩაწოლაგამძლეა. ეს მაშინ, როცა აქამდე გავრცელებული ჯიში „ძველთესლი“ მაბოსტნეული კულტურები—ნიორი „გორული“ და „ᲜᲐ 23“, ოხრახუში „ტაკჩირული“, ნიახური „ქართული“ და სხვა.

როგორია ახალი ჯიშების ეკონომიკური ეფექტი?

ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში **აკაკი ალანიაც:**

— თითქმის თანაბარ პირობებში, წარმოებაში გავრცელებულ ჯიშებთან და ჰიბრიდებთან შედარებით ინსტიტუტში შექმნილ ახალ ჯიშებს და ჰიბრიდებს უზეი მოსავლიანობის პოტენციური შესაძლებლობა ახასიათებს. მაგალითად, საშავცელ სიმინდის ფარ-სათანადო დასკვნები შექმნილი მდგომარეობიდან. ბოლოს და ბოლოს, სადამდე უნდა ვეფიროთ, კმარა ამდენი საყვეფერების გამოცხადება, უფრო მკაცრად უნდა მოვკითხოთ მას. ჩემი აზრით, ვ. ჩანგლიშვილი ღირსი არ არის იყოს კომუნისტთა რიგებში.

ᲒᲘᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ — კომბინატის მთავარი ინჟინერი: მე არაფერი არ შემიძლია გავამართლო ვ. ჩანგლიშვილის საქციელი. კომუნისტი რომ გამოსაფიზეზელშა მოხვდება, იქ უნდა დამთავრდეს ყოველგვარი საუბარი. ჩემი წინადადებაა ვ. ჩანგლიშვილს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით, რაკი ამავე ასეთი სასკვეი პარტიულ ორგანიზაციას მისთვის ჯერ არ დაუფვია. თუ ამანაც არ გაჯარა, შაშინ კი ვიმსჯელთ პარტიის რიგებში მისი ყოფნა-არყოფნის შესახებ.

ᲒᲐᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘᲐ ᲡᲘᲛᲘᲜᲘᲫᲔ — ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის დირექტორი: თავისი უსაქეფილობისათვის, სიმთვარალის და უპასუხისმგებლობისათვის არაერთხელ გავაფრთხილეთ ჩანგლიშვილი, საყვედურიც ბევრჯერ გამოვუცხადეთ. უკანასკნელ დროს სამჯერ მოვხსენით საშუშოდან და სამჯერვე მისი დიდი დაპირების შემდეგ, რომ გამოსწორდებოდა, დავამარუნეთ საშუშოზე. მაგრამ საშელი მაინც არ დაადგა. იგი აშკარად ვერ ერთმეფეს თავს საქმეს. მე ვფიქრობ, გაფრთხილებები და საყვედურები ვეღარ უშველის. უფრო პრინციპული უნდა ვიყოთ მის მიმართ. კომუნისტი, რომელიც არცხვენს ამ სპატიო სახელს, არ არის შებრალების ღირსი, იგი არ უნდა იყოს პარტიის რიგებში.

ღია პარტიულმა კრებამ კენჭი უყარა შემოსულ წინადადებებს და ერთხმად დაადგინა, რომ ვ. ჩანგლიშვილი გაირიცხოს სკკპ რიგებიდან. ცხობად იქნა მიღებული, რომ იგი გაჯის ქარხნის წარმოების უფროსის თანამდებობიდან დირექციამ გადაიყვანოს ცვლის ოსტატად. ამასთან ვ. ჩანგლიშვილს წინადადება მიეცა, სათანადო დასკვნები გამოიტანოს მისი დახასიათებისას გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებიდან და ეკეთილსინდისიერი შრომით შეეცადოს შეალახული ავტორიტეტის აღდგენას.

დიახ, ძმაო იყო ასეთი დადგენილების გამოტანა, მაგრამ, ისიც ცხადი გახდათ, რომ სხვა გზა აღარ რჩებოდათ კომუნისტებს. დღე, ყველამ იგრძნოს, რომ არაფის ეპატიება უპასუხისმგებლობა, საქმის მიფუჩეჩნება, ლოთობა — ასეთი საერთო მოთხოვნა ეზი დღეს.

Შ. ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲗᲐᲕ. ᲙᲝᲠ.

ᲛᲔᲦᲧᲝᲑᲠᲘᲗᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚ-ᲒᲐᲛᲝᲛᲗᲕᲚᲔᲚᲘ

ᲐᲗᲘᲝ წელი შეუსრულდა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გაერთიანებულ საინფორმაციო გამოთვლითს ცენტრს. ცენტრი ეკონომიკის განლაგების, საწყობებში ტვირთის არსებობის, საფინანსო, სატვირთო ოპერაციების ვრცელ ინფორმაციას იძლევა.

ახლახან აქ მწყობრში ჩადგა ახალი ეს-1033 მარკის ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა, რომელიც ფლოტის მუშაობის უწყვეტი გრაფიკის წარმოების ავტომატიზებული სისტემის მნიშვნელოვანი გაფართოების საშუალებას იძლევა. დაგეგმილია დისპეტჩერის დადგმა, რომლებიც დაკავშირებული იქნება ახალ ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებთან.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: ინჟინრები ვლადიმერ ანანიკიანი, ეთერ კალანდარიშვილი და ოპერატორი ნატო ძნელაძე საინჟინრო პულტთან.

ნ. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲨᲘ

ᲒᲐᲜᲒᲐᲛᲢᲙᲘᲪᲝᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი 50 წლისაა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კვალიფიციური კადრების მომზადებასა და მეცნიერული კვლევის განვითარებაში დამსახურებისათვის თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი დაჯილდოვდეს ხალხთა მეგობრობის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. კუზნეცოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1985 წლის 17 მაისი.

საიმედო ხვალინდელი დღე

ეს იყო 1935 წელს: საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით თბილისში სამასწავლებლო ინსტიტუტი დაარსდა. ახლა, როცა ამ ღირსსახსოვარი დღიდან ნახევარი საუკუნე გავიდა, ცხადია, სულ სხვა შუქითა და ელფერით იმოსება ჩვენს თვალში მშობლიური სასწავლებლის ისტორიასთან დაკავშირებული ყოველი ფაქტი. ისინი ერთხელ კიდევ ნათლად წარმოაჩენენ ჩვენი პარტიისა და მთავრობის დიდ ყურადღებას ახალგაზრდა თაობის სწავლა-აღზრდის საქმის სრულყოფისა და გაუმჯობესებისადმი.

სულ ერთი წლის დაარსებული იყო სასწავლებელი, რომ მას ფიზკულტურის ფაკულტეტი შეემატა, ხოლო ფიზიკა-მათემატიკისა და ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტებთან ჩამოყალიბდა რუსული სექტორები. გარდა ამისა, შეიქმნა უცხო ენათა ფაკულტეტი, რომელსაც სამი განყოფილება ჰქონდა: ინგლისური, ფრანგული, გერმანული.

1937 წელს, დიდი რუსი მწერლის ა. პუშკინის გარდაცვალების 100 წლისთავზე, ინსტიტუტს მისი სახელი ეწოდა.

1947 წელს ინსტიტუტს დაევალა მასწავლებელთა კადრების მომზადება რესპუბლიკის ქართული, რუსული, აზერბაიჯანული და სომხური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებისათვის.

იმავე ხანებში ინსტიტუტში შეიქმნა ასპირანტურა, ხოლო 1967 წლიდან ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიეცა დისერტაციის დაცვის საფუძველზე პედაგოგიკის მეცნიერებათა საკანდიდატო ხარისხის მინიჭების უფლება.

დიდი სამამულო ომის დროს ინსტიტუტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები სამშობლოს პირველ დაძახილზევე ჩადგნენ მის დამცველთა რიგებში. ბევრი მათგანი დაუბრუნდა ინსტიტუტს მთავრობის მაღალი ჯილდოებით მკერდდამშვენებული, ხოლო ინსტიტუტის ოთხმა ყოფილმა სტუდენტმა — გ. ბილანიშვილმა, პ. სიხნომ, ს. გრიგორიანმა და ვ. ტარანოვსკიმ საბჭოთა კავშირის გმირის უმაღლესი წოდება დაიმსახურეს. ბევრი პუშკინელი აქტიურად მონაწილეობდა პარტიზანულ მოძრაობაში: ისინი ფრანგ, იტალიელ, პოლონელ პატრიოტებთან ერთად იბრძოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ.

თავისი არსებობის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ინსტიტუტი გადაიქცა მაღალკვალიფიციური პედაგოგიური და სამეცნიერო კადრების მძლავრ სამჭედლოდ, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებს დაახლოებით 40 ათასი პედაგოგი მოუმზადა.

დღეს ინსტიტუტის 7 ფაკულტეტის დღის და დაუსწრებელ განყოფილებებზე 5 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. მასწავლებელთა მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდას ემსახურება 400-მდე პროფესორ-მასწავლებელი, მათგან 42 მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორია, 200 — მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

ინტერნაციონალიზმი ჩვენი ინსტიტუტისათვის განსაკუთრებულად დამახასიათებელი ნიშანია. მის კედლებში ოთხ — ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე სწავლობენ 16 ეროვნების წარმომადგენლები.

ძალზე გვახარებს და გვაიმედებს ის გარემოება, რომ მომავალი პედაგოგები გამოირჩევიან შეგნებული დისციპლინითა და მაღალი აკადემიური წარმატებით, სწავლის ფრიადოსანია ყოველი მეხუთე სტუდენტი, ხოლო საერთო-საინსტიტუტო აკადემიური წარმატება 97-98 პროცენტს შეადგენს.

სამამულო მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებაში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ჩვენი ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებს. ბევრი მათგანი საშუალო სკოლისა თუ უმაღლესი სასწავლებლის სახელმძღვანელოთა და დამხმარე სახელმძღვანელოთა ავტორია. მათი სამეცნიერო ნაშრომები არაერთხელ აღინიშნა იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლით, სხვადასხვა პრემიით, დიპლომით, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ჯილდოებით.

განსაკუთრებით ნაყოფიერი გახდა სამეცნიერო მუშაობა ჩვენს სასწავლებელში ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებით. მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ რეფორმასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და საკითხებზე მარტო 1984 წელს გამოქვეყნდა 6 მონოგრაფია, 19 სახელმძღვანელო, 40 დამხმარე სახელმძღვანელო და 250-ზე მეტი სამეცნიერო სტატია.

დიდი ყურადღება ექცევა ასპირანტთა და ხარისხის მაძიებელთა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. ბოლო სამი წლის მანძილზე სამ სპეციალიზებულ საბჭოზე მომზადებული და დაცულია 30-ზე მეტი საკანდიდატო დისერტაცია.

სამეცნიერო მუშაობაში ასევე აქტიურად მონაწილეობენ სტუდენტები. ამ მხრივ თვალსაჩინო წარმატებები მოვიპოვეთ შარშან; 1984 წელს 67 სტუდენტური ნაშრომი აღინიშნა საკავშირო და რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციების დიპლომებით, საპატიო სიგელებითა და პრემიებით.

კვლავაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასწავლებელში საზოგადოებრივი დისციპლინებისა და სხვა ფუნდამენტური მეცნიერებების სწავლებას. როგორც წესი, სტუდენტთა აკადემიური წარმატების მაჩვენებლები საზოგადოებრივ დისციპლინებში ყველაზე მაღალია.

ინსტიტუტს ფართო მეცნიერული და მეგობრული კონტაქტები აქვს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, იაპონიის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ფინეთის სასწავლო და სამეცნიერო ცენტრებთან. ცოტა ხნის წინათ იუნესკოს გადაწყვეტილებით ინსტიტუტში სტაჟირებაზე იყო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის მუშაკთა დელეგაცია.

მომავალ პედაგოგთა ესთეტიკურ აღზრდას კარგ სამსახურს უწევს 1974 წელს დაარსებული საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტიც. ამ ფაკულტეტზე მეორე დამატებით სპეციალობას ეუფლება ინსტიტუტის 900 სტუდენტი.

პუშკინელები აქტიურად მონაწილეობენ III შრომითი სემესტრებსა და საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში.

თვალსაჩინო მიღწევები აქვს ინსტიტუტის ახალგაზრდობას სპორტშიც. ისინი რეგულარულად მონაწილეობენ რაიონულ, საქალაქო, რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში.

გვაქვს მოსამზადებელი განყოფილებაც, სადაც ყოველწლიურად სწავლობს 240 ქალიშვილი და ჭაბუკი. აქ კადრებს ვამზადებთ არა მარტო თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტისათვის, არამედ თელავის პედაგოგიური ინსტიტუტისთვისაც.

მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში კოლექტივის წარმატებებზე ნათლად მეტყველებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით ინსტიტუტის ზედიზედ მერვედ დაჯილდოება.

ახალი, გაზრდილი ამოცანებით და ასეთივე შრომითი ენთუზიაზმით ხვდება ინსტიტუტის კოლექტივი თავის იუბილეს. მას კარგად ესმის, თუ რა დიდი მისია და პასუხისმგებლობა აკისრია პარტიისა და ხალხის წინაშე. პასუხისმგებლობის ასეთი შეგნება, ამაღლებული შრომითი და პოლიტიკური განწყობილება კი მომავალ წარმატებათა საიმედო საწინდარია.

ნათელა ვასაძე,
ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი.

სურათზე: სტუდენტების ერთი ჯგუფი.
ს. კილაძის ფოტო.

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

17 მაისი ■ საკდესი იუწყება

შეხვედრები ვენაში

ვენა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო შეხვდა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრს ჯ. ანდრეოტის.

გამართულმა აზრთა გაზიარებამ დაადასტურა, რომ ორივე მხარე ესწრაფვის მეტ ურთიერთგაგებას ევროპასა და მთელ მსოფლიოში უშიშროების განმტკიცების საკვანძო პრობლემებში.

ა. ა. გრომიკომ და ჯ. ანდრეოტიმ განიხილეს აგრეთვე პრინციპული თვალსაზრისით საბჭოთა კავშირისა და იტალიის ორმხრივი ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი, ამასთან ორივე მხარემ განაცხადა, რომ აპირებს კვლავაც განავითაროს ურთიერთობა და კონტაქტები როგორც პოლიტიკურ, ისე სხვა დარგებში.

* * *

ა. ა. გრომიკო ესაუბრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის მოადგილეს, საგარეო საქმეთა მინისტრს ჰ.-დ. გენშერს.

მსოფლიოში შექმნილი ვითარების განხილვისას საბჭოთა მხარემ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის თავიდან აცილების აუცილებლობას. ა. ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ, ებმება რა დამრტყმელი კოსმოსური შეიარაღების შექმნის ამერიკული გეგმების განხორციელებაში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციასთან ერთად კისრულობს პასუხისმგებლობას ამასთან დაკავშირებული არსებული სამხედრო-სტრატეგიული წონასწორობის დესტაბილიზაციის შედეგებისათვის.

საუბარში შეეხნენ აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ორმხრივი ურთიერთობის ზოგიერთ საკითხს.

* * *

ა. ა. გრომიკო შეხვდა ავსტრიის ფედერალურ კანცლერს ფ. ზინოვაცს.

საუბარში, რომელმაც ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა, ორივე მხარემ დაადასტურა, რომ დაინტერესებული არიან გაგრძელდეს სსრ კავშირსა და ავსტრიის რესპუბლიკას შორის სხვადასხვა დარგის ნაყოფიერი თანამშრომლობის დაცვისა და განვითარების გამომდგარი კურსი, რომლის საფუძველსაც შეადგენს ავსტრიის 1955 წლის სახელმწიფო ხელშეკრულება და ავსტრიის მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსი. გამოთქვეს რწმენა, რომ მხარეების მიერ 1984 წლის ნოემბერში ფედერალური კანცლერის საბჭოთა კავშირში ვიზიტის დროს მიღწეულ მორიგებათა პრაქტიკული რეალიზაცია ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის კეთილმეზობლობის შემდგომ განმტკიცებას.

საერთაშორისო პრობლემების განხილვისას ორივე მხარემ განაცხადა, რომ მზად არიან აქტიურად შეუწყონ ხელი გამალებული შეიარაღების ალაგმვასა და ბირთვული ომის საფრთხის ლიკვიდაციას, საერთაშორისო ნდობისა და სახელმწიფოთა კონსტრუქციული თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნას.

* * *

ა. ა. გრომიკო შეხვდა ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრს ლ. გრაცს.

საერთაშორისო საკითხებზე აზრთა გაზიარებისას მინისტრებმა ხაზი გაუსვეს, რომ უცილობლად საჭიროა ყველა სახელმწიფომ გააქტიუროს მეცადინეობა მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების დაცვის საქმეში, განახორციელოს ეფექტიანი ღონისძიებანი გამალებული შეიარაღების, განსაკუთრებით ბირთვული შეიარაღების შეწყვეტისა და კოსმოსის მილიტარიზაციის თავიდან აცილებისათვის.

ამასთან დაკავშირებით ა. ა. გრომიკომ ავსტრიის მხარის ყურადღება მიაპყრო ახალ საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებს, მათ შორის იმას, რომ საბჭოთა კავშირმა მორატორიუმი დაუწესა თავისი საშუალო სიშორის რაკეტების განლაგებას და სხვა საპასუხო ღონისძიებათა ზრდას ევროპაში.

ლ. გრაცმა მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ჟენევის მოლაპარაკებაზე, აგრეთვე სხვა იმ საერთაშორისო ფორუმებზე დადებითი შედეგების მიღწევას, სადაც იხილავენ შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების საკითხებს.

ორივე მხარემ გამოთქვა კმაყოფილება საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ურთიერთობის ხელსაყრელი მდგომარეობის გამო და დაადასტურა, რომ ორივე სახელმწიფო დაინტერესებულია მისი შემდგომი განვითარებით.

* * *

ა. ა. გრომიკო შეხვდა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა საკავშირო მდივანს რ. დიზდარევიჩს.

საუბრის დროს, რომელიც მეგობრული ხასიათისა იყო, მინისტრებმა დადებითად შეაფასეს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ორმხრივი ურთიერთობის განვითარება, მხარი დაუჭირეს შეთანხმებული პრინციპებისა და მორიგებათა საფუძველზე მათი მეგობრობის შემდგომ განმტკიცებასა და თანამშრომლობის გაღრმავებას ორივე ქვეყნის ხალხების, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმეების ინტერესებისათვის.

ევროპაში თანამედროვე სიტუაციის განხილვისას ა. ა. გრომიკომ და რ. დიზდარევიჩმა, დაადასტურეს რა სრულიად ევროპის თათბირის საბოლოო აქტისადმი მათი ქვეყნების ერთგულება, განაცხადეს, რომ სსრ კავშირსა და იუგოსლავიას მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ხელი შეუწყონ სტოკჰოლმის კონფერენციის მუშაობის, აგრეთვე ათი წლის წინათ ჰელსინკში დაწყებული სრულიად ევროპის პროცესის ფარგლებში სხვა შეხვედრების წარმატებას.

აღნიშნეს რა ორი ღირსშესანიშნავი თარიღის — ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავისა და დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ სახელმწიფო ხელშეკრულების ხელმოწერის 30 წლისთავის ურთიერთკავშირი, მათ ხაზი გაუსვეს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყველა სახელმწიფომ განუხრელად დაიცვას და პატივი სცეს მეორე მსოფლიო ომისა და ომისშემდგომი განვითარების შედეგად შექმნილ ტერიტორიულ-პოლიტიკურ რეალიებს.

* * *

ა. ა. გრომიკო შეხვდა ავსტრიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარეს ფ. მურის. ა. ა. გრომიკოსა და ფ. მურის შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც გულითად და ამხანაგურ ატმოსფეროში ჩაიარა.

ა. ა. გრომიკო ვენიდან გამოემგზავრა

ვენა. ვენიდან გამოემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო. ავსტრიის მთავრობის მიწვევით იგი მონაწილეობდა დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ სახელმწიფო ხელშეკრულების ხელმოწერის 30 წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულში.

შვეჰატის აეროდრომზე ა. ა. გრომიკო გამოაცილეს მეცნიერებისა და კვლევის მინისტრმა გ. ფიშერმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

კოსმოსი მშვიდობიანი უნდა იყოს!

ვაშინგტონი. სულ უფრო კონკრეტულ სახეს იძენს ამერიკის შეერთებული შტატების ავისმომასწავებელი გეგმები კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის თაობაზე.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენელს იმოწმებს, პენტაგონმა დაგეგმა თანამგზავრსაწინააღმდეგო იარაღის მორიგი გამოცდის მოწყობა მიმდინარე წლის ივლისში. მანამდე სამხედრო უწყებამ უკვე მოაწყო ორი გამოცდა, რომელთა დროსაც ფ-15 ავიაგამანადგურებლიდან დიდ სიმაღლეზე გაუშვეს რაკეტა, რომელიც გათვალისწინებულია კოსმოსური ობიექტების მოსასპობად. ამჯერად რაკეტას მიმართავენ უშუალოდ კოსმოსურ სივრცეში სპეციალური სამიზნე თანამგზავრის მოსასპობად.

ამასთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატები იწყებს „შატლ" სერიის მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსურ ხომალდებზე ისეთი ექსპერიმენტების მოწყობას, რომელთა მიზანია ფართო მასშტაბის კოსმოსური ბაზირების ელემენტებიანი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის კომპონენტების შექმნა და დახვეწა. იუნაიტედ პრეს ინტერნეშენელის სააგენტოს მონაცემებით, „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის" განხორციელების ორგანიზაციის წარმომადგენელმა განაცხადა პენტაგონში, რომ პირველ ამგვარ „ცდას" განახორციელებს „დისკავერის" ეკიპაჟი, რომლის გაშვებაც საორიენტაციოდ დაგეგმილია ამა წლის 14 ივნისისათვის. კერძოდ, მოეწყობა „სათვალთვალო ოპტიკური მოწყობილობის" გამოცდა.

ნიუ-იორკი. „კოსმოსური ომების" რეიგანისეული პროგრამა მთავარი დაბრკოლებაა ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებათა მიღწევის გზაზე, აღნიშნავს ჟურნალი „ნიუ უორლდ რევიუ". ეს პროგრამა წარმოადგენს ცდას შეიქმნას ისეთი პირობები, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებს შეეძლება პირველი ბირთვული დარტყმის მიყენება ისე, რომ სამაგიეროს გადახდის შიში არ ჰქონდეს. ეს იმედი ემყარება უაღრესად საშიშ ილუზიას, თითქოს შეიძლებოდეს საბჭოთა კავშირთან შედარებით სამხედრო უპირატესობის მიღწევა და შესაძლებელი იყოს ბირთვული ომის „მოგება". კვლევა-ძიებას კოსმოსური შეიარაღების დარგში, წერს ჟურნალი, სულაც არა აქვს უვნებელი ხასიათი. თავის დროზე „მანჰეტენის" პროექტსაც მხოლოდდამხოლოდ „კვლევას" უწოდებდნენ, მაგრამ ამის შედეგად ატომური ბომბი გაჩნდა. ძნელი დასაჯერებელია, რომ რეიგანის ადმინისტრაცია აპირებს დაახლოებით 30 მილიარდი დოლარი მოახმაროს მარტო „კოსმოსური ომების" პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ კვლევას, ესე იგი ფაქტობრივად ქარს გაატანოს ეს სახსრები, ხაზს უსვამს „ნიუ უორლდ რევიუ".

კოსმოსის მილიტარიზაცია, რომელიც ნაკარნახევია იმპერიალისტური წრეების მისწრაფებით მიაღწიონ სამხედრო უპირატესობას, სერიოზულ საფრთხეს უქადის მთელ კაცობრიობას. ეს აღნიშნულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განცხადებაში, რომელიც მოყვანილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის მოხსენებაში „80-იანი წლების განიარაღების მეორე ათწლეულად გამოცხადების დეკლარაციის" განხორციელების თაობაზე. დედამიწისირგვლივი სივრცის მილიტარიზაციის გეგმების განხორციელება შეუძლებელს გახდის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვასა და შემცირებას.

კოპენჰაგენი. დანიის ფოლკეტინგმა (პარლამენტმა) მთავრობას დაავალა გაილაშქროს ამერიკის „კოსმოსური ომების" გეგმების რეალიზაციაში ქვეყნის მონაწილეობის წინააღმდეგ. მიღებული რეზოლუცია ადასტურებს პარლამენტის მიერ მარტში მოწონებული იმ დოკუმენტის ძირითად დებულებებს, რომელშიც აღინიშნა, რომ დანია კოსმოსში რაიმე სახის იარაღის განლაგების, კოსმოსური შეიარაღების შექმნასა და გამოცდაში ქვეყნის ჩათრევის წინააღმდეგია.

სსრ კავშირ-ინდოეთი

მყარი საძირკველი

მიესალმებიან ინდოეთის პრემიერ-მინისტრის მომავალ ვიზიტს საბჭოთა კავშირში

დელი. ინდოეთის საზოგადოებრიობის ფართო წრეები მიესალმებიან საბჭოთა კავშირში ინდოეთის პრემიერ-მინისტრის რაჯივ განდის მომავალ ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტს. აქ გამომავალი ჟურნალის „სოვიეტ ლენდისათვის" გაგზავნილ წერილებში ინდოეთის თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი გამოთქვამენ რწმენას, რომ რ. განდის ვიზიტი სსრ კავშირში ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის მეგობრობისა და მრავალმხრივი თანამშრომლობის განმტკიცებას.

ჩვენი მეგობრობა ემყარება საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მტკიცე ერთგულებას მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების საქმისადმი, ხაზგასმით აღნიშნავს თავის წერილში მახარაშტრის შტატის მთავრობის მინისტრი ბ. სავანტი. ინდოეთის საზოგადოებრიობა, წერს იგი, მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივებს, რომელთა მიზანია გამალებული შეიარაღების ალაგმვა და ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილება.

სსრ კავშირი და ინდოეთი, აღნიშნავს გუჯარათის შტატის მთავრობის მინისტრი ა. ჩოუდჰარი, თანამიმდევრულად იღვწიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა, რომელმაც დროის გამოცდას გაუძლო, აზიაში და სხვა კონტინენტებზე მშვიდობისა და უშიშროების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია, ხაზგასმით აღნიშნავს ცნობილი კულტურის მოღვაწე ალი ჯაფრი.

ფოტოფაქტი



მადლობა საბჭოთა კავშირს!

„მადლობა სსრ კავშირს გამარჯვების დღეს!", „მადლობა თქვენ, რუსო ჯარისკაცებო!", „მადლობა საბჭოთა ხალხს მისი მამაცობისა და მსხვერპლისათვის!" — ასეთი პლაკატებით მივიდნენ ამერიკელები სსრ კავშირის ვაშინგტონის საელჩოსთან, რათა გამოეხატათ თავიანთი პატივისცემა საბჭოთა ქვეყნისადმი მისი გადამწყვეტი წვლილისთვის ჰიტლერული გერმანიის განადგურებაში.

სურათზე: მანიფესტაციის მონაწილენი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიმდინარე წლის 17 მაისის ბრძანებულებით მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დააჯილდოვა თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მუშაკთა ჯგუფი. ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფებს ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის და აქტიური მუშაობისათვის მიენიჭათ „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის", „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდებები. მთელ რიგ ამხანაგებს ინსტიტუტში ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭათ „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის", „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის", „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის", „საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკისა" და „საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის" საპატიო წოდებები.

ბრძანებულებები გამოქვეყნდება გაზეთებში „თბილისში" და „ვეჩერნი ტბილისში".

პატიოსანი მომსახურებისა და წესრიგისათვის

„კომუნისტის" რედაქციაში შემოსულ მშრომელთა საჩივრებზე უპასუხებენ:

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე
ბ. ნაზღაიძე:

მოქალაქეები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ მაღაზიებში არ იშოვება დიდი ზომის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

ჩვენი მომხმარებლების ასეთი საყვედური სამართლიანია და სინამდვილეს ასახავს. დიდი ზომის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ნაკლებობა გამოწვეულია მომწოდებელი სამრეწველო საწარმოების მიერ სახელშეკრულებო დისციპლინის დაუცველობით, შეკვეთების შეუსრულებლობით. მაგალითად, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკამ წელს პირველ კვარტალში „თბილისტანსაცმელვაჭრობის" №39 მაღაზია „გოლიათისათვის" შეკვეთილი დიდი ზომის მამაკაცის პალტოები და ქალის შენარევი ხლართის ქსოვილის კაბები საერთოდ არ მოაწოდა. ასე მოიქცა თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაც, რომელმაც ამავე მაღაზიას არ მიაწოდა არც ერთი ცალი მამაკაცის პალტო, ლაბადა, ქალის კოფთა. არც სიღნაღის სამკერვალო ფაბრიკას, ქუთაისის სამკერვალო გაერთიანება „გელათს" და ქუთაისის კიროვის სახელობის სამკერვალო გაერთიანებას შეუქმნიათ თავი სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვისათვის. ამ მხრივ ნაკისრი ვალდებულება ნაწილობრივ შეასრულეს თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანმა", ცხინვალის და ბათუმის სამკერვალო ფაბრიკებმა.

სავაჭრო ობიექტების დაკვეთებით დიდი ზომის ტრიკოტაჟის ნაწარმის მიწოდების დავალებებს მხოლოდ ნაწილობრივ ასრულებენ თბილისის №1 ტრიკოტაჟის ფაბრიკა, თბილისის ტრიკოტაჟის გაერთიანება „ბახტრიონისა" და თბილისის ტრიკოტაჟის საცვლების საწარმოო გაერთიანების საწარმოები.

მოსახლეობის მოთხოვნილების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით დიდი ზომის ფეხსაცმლის მარაგი შექმნილია რესპუბლიკურ საბითუმო ბაზა „საქფეხსაცმელვაჭრობაში", საიდანაც ხდება მათი გაცემა დაკვეთების შესაბამისად.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ დააყენა საკითხი რესპუბლიკის სამრეწველო სამინისტროების წინაშე დიდი ზომის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის დამზადებისა და სავაჭრო ორგანიზაციებისათვის დროულად მიწოდების, სახელშეკრულებო დისციპლინის მტკიცედ დაცვის შესახებ.

საჩივარი, რომელიც ქ. მახარაძის სავაჭრო ქსელსა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში არსებულ დარღვევებს ეხება, ზოგადია და მასში კონკრეტული ფაქტები და ობიექტები მოხსენიებული არ არის. ამასთან გაცნობებთ, რომ უკანასკნელ ხანს მახარაძის რაიონში შემოწმდა სხვადასხვა სისტემისა და უწყების სახელმწიფო ვაჭრობის 36 ობიექტი, მათ შორის მახარაძის ქალაქვაჭრობის, ამიერკავკასიის რკინიგზის, მთავარი სააფთიაქო სამმართველოს, ხილბოსტანვაჭრობის, სამზაო რესტორნებისა და ბუფეტების ტრესტის, საკოლმეურნეო ბაზრების სამმართველოს ობიექტები, სამომხმარებლო კოოპერაციის 18 საცალო სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმო. შემოწმების შედეგად ვაჭრობის წესების სხვადასხვა ხასიათის დარღვევები თითქმის ყველა ობიექტში გამოვლინდა. ყოველივე ეს ოფიციალურად ეცნობა მახარაძის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომს და ღონისძიებანიც დროულად განხორციელდა. გაძლიერებულია კონტროლი ქალაქ მახარაძის სავაჭრო ობიექტებში წესრიგის დამყარებისადმი.

საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრის მოადგილე
ნ. ქებაძე:

რედაქციაში შესული განცხადების შემოწმებით დადგინდა, რომ „თბილისხილბოსტანვაჭრობის" საქარხნო რაიგანყოფილების №90 მაღაზია ცუდად მარაგდება ხილბოსტნეულის სავალდებულო ასორტიმენტით, არის მომხმარებელთა წონასა და ფასებში მოტყუების ფაქტები. შემოწმების დღეს აქ არ ჰქონდათ ხახვი, კომბოსტო, სტაფილო, ჭარხალი, ქინძი, ნიახური, კამა.

მაღაზიაში არავითარი ყურადღება არ ექცევა მშრომელთა სიგნალებს, არ მოწმდება და არ ხორციელდება ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. საკონტროლო ჟურნალში დარღვევებზე 4 ჩანაწერიდან არც ერთის გამო არ იყო მიღებული ზომები. შემოწმების დღეს მაღაზიის გამყიდველმა ბ. ვართანოვმა მომხმარებელს ზედმეტი გადაახდევინა.

ეს დარღვევა-ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ „თბილისხილბოსტანვაჭრობის" საქარხნო რაიგანყოფილების და №90 მაღაზიის ხელმძღვანელები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მომარაგებას, საჭირო კონტროლს არ აწესებენ გამყიდველთა მუშაობისადმი.

სამინისტროს გადაწყვეტილებით გამყიდველის მუშაობისადმი კონტროლის შესუსტებისათვის მაღაზიის უფროს გამყიდველს მ. ბაბაიანს გამოეცხადა საყვედური, გამყიდველ ბ. ვართანოვს სასტიკი საყვედური, ხოლო მაღაზიის გამგეს ი. ზირაქიშვილს მიეთითა და მკაცრად იქნა გაფრთხილებული, რომ, თუ არ გამოასწორებს მუშაობას, მკაცრად დაისჯება — სამუშაოდანაც კი განთავისუფლდება.

საქარხნო რაიონში ხილბოსტნეულის მაღაზიების მუშაობის გასაუმჯობესებლად სამინისტრომ დასახა სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი.

პრესა ადასტურებს

THE GUARDIAN
„გარდიანი"
(ინგლისი)

რეიგანის ამერიკა: საშიში მითი „უკეთეს დროებათა" თაობაზე

რეიგანის ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც შავკანიანი ბავშვების 55 პროცენტი სიღატაკეში იბადება. მის კოლეჯებს უვიცნი ამთავრებენ; მას მეტი მევალე ჰყავს, ვიდრე ჩამსესხებელი; მისი მრეწველობის თითქმის ყველა წამყვან დარგში ზრდის მაჩვენებლები უარყოფითია; ამ ქვეყნის 35 მილიონი მცხოვრები „სიღარიბის ზღვარზე" უარესად ცხოვრობს, ხოლო პრეზიდენტი კაბინეტის სხდომებზე მოწყენილობისაგან ბუზებს იჭერს.

არსებობს სხვა ამერიკაც — უამრავი სატელევიზიო პროგრამისა და შოუს ქვეყანა, კარგად მოვლილი მდელოებით ვილების წინ, მხიარული ბავშვებითა და აფრიალებული სახელმწიფო დროშით. ამ ამერიკისათვის ყველაფერი საუკეთესო წინაა!

რეიგანი მეორე ვადით იმიტომ აირჩიეს, რომ ამერიკელებს არ სურთ რეალურ ცხოვრებაში ჩახედვა და სურთ ირწმუნონ ის ამერიკა, რომელსაც ეს პრეზიდენტი განასახიერებს.

ისინი დაღალეს პრობლემებმა, თავიანთი მთავრობის პოლიტიკურმა შეცდომებმა და უგუნურებამ, ვიეტნამისა და უოტერგეიტის შემდეგ განცდილმა ეროვნულმა დამცირებამ. ამიტომაც საარჩევნო კამპანიაში გაიმარჯვა არა ყოველივე იმის რეალურმა შეფასებამ, რაც ადმინისტრაციამ თეთრ სახლში ყოფნის 4 წლის მანძილზე აკეთა, ან რის გაკეთებასაც ჰპირდებოდა. გაიმარჯვა მითმა იმის თაობაზე, რომ ამერიკას კვლავ დაუდგა „უკეთესი დროება", ხოლო ყველა უსიამოვნება, პრობლემა და საზრუნავი უკვე წარსულს ჩაბარდა.

თუ რეალურ ფაქტებს განვიხილავთ, ადმინისტრაციის მიღწევები როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში საკმაოდ უმნიშვნელოა. მართალია, ეს არც დიდი დეპრესიაა, მაგრამ ძირითადი ეკონომიკური მონაცემები არ არის საიმედო. უმუშევართა რაოდენობა არ შემცირებულა.

რეიგანი პირობას დებდა, რომ ამერიკის ხელახალი და დამატებითი შეიარაღება რუსებს უფრო დამყოლს გახდიდა მოლაპარაკებების დროს. ადმინისტრაციის ამ უცნაურმა ლოგიკამ — შეიარაღება განიარაღების მიზნით — ჯერჯერობით ვერ მიაღწია სასურველ შედეგს. ცენტრალურ ამერიკაში კრიზისი გრძელდება და არ ჩანს მისი ადვილად დაძლევის გზა. ახლო აღმოსავლეთში არ ნელდება დაძაბულობა, ხოლო ევროპელები ჯერაც არ ეზიარნენ ახალი ადმინისტრაციის ოპტიმისტურ რწმენას. მაშ რა შეიძლება ჩაიწეროს რეიგანის გუნდის საგარეო-პოლიტიკურ აქტივში?

უცნაურია, მაგრამ გრენადის — ამ პატარა კუნძულის ოკუპაცია ჯერ კიდევ დადებითი ზეგავლენას ახდენს ამერიკელთა თავმოყვარეობაზე, რომელთაც მოენატრათ თავიანთი ქვეყნის სამხედრო გამარჯვებები.

ამასთანავე, მათ სულ არ აწუხებთ ის, რომ გრენადელებს ამ აქციამ არ მოუტანა ბედნიერი ცხოვრება: ფერხდება ვაშინგტონის მიერ შეპირებული კაპიტალდაბანდებები, სავალალო მდგომარეობაშია გზები, სატელეფონო კავშირი და სხვა საკომუნიკაციო საშუალებები. გარდა ამისა მოხუცი, გონებაჩლუნგი დიქტატორის ერიკ გეირის სახით (რომელსაც „მფრინავი თეფშები" უფრო აინტერესებდა, ვიდრე საკუთარი კუნძული) ქვეყანას ახალი დიქტატურა ემუქრება.

უაღრესად საინტერესოა, რა განაპირობებს რეიგანის გაუგონარ პოპულარობას? ეს პრეზიდენტი ხომ ფრიად არაკომპეტენტურია რიგ საკითხებში, რომლებიც პირველხარისხოვანია სახელმწიფო მოღვაწისათვის. იგი სუსტად ერკვევა ეკონომიკაში, შეუძლია დაუშვას პოლიტიკოსისათვის შეუფერებელი ლაფსუსები, როგორიც მაგალითად: „საბჭოთა კავშირის დაბომბვა 5 წუთის შემდეგ იწყება", „რაკეტები, რომლებიც ევროპელთა თავზე აფეთქდება" და სხვ. ხოლო მისი უვიცობა შეიარაღების საკითხებში შემზარავად განსაცვიფრებელია. ჟურნალისტებთან ერთ-ერთ შეხვედრაზე მან განაცხადა, რომ ბირთვული საბრძოლო ქობინი მხოლოდ სახმელეთო რაკეტებს აქვთ, და რომ ისინი არ არის და არც შეიძლება იყოს იმ რაკეტებზე, რომლებიც გემებზე და წყალქვეშა ნავებზეა განლაგებული. არანაკლებ განაცვიფრა მსმენელები პრეზიდენტის შენიშვნამ იმის თაობაზე, რომ თურმე შეიძლება შახტებიდან გამოშვებული რაკეტის უკან დაბრუნება! რეიგანი 10 საათიდან 17 საათამდეა პრეზიდენტი, დანარჩენ დროს კი თავის პირად საქმეებს ახმარს.

მაშ, რითია გამოწვეული მისი ესოდენი პოპულარობა? შესაძლოა, ამერიკელები ამ პრეზიდენტს იმ დიადი ამერიკის სიმბოლოდ აღიქვამენ, როგორიც ეს ქვეყანა იყო და როგორიც რეიგანს სურს რომ გახდეს. ამიტომ ხალხი გულგრილად ეკიდება ფაქტებს. ხალხს ხომ მუდამ ის სჯერა, რისი დაჯერებაც სურს. რეიგანი პრეზიდენტად გახადა მისი საარჩევნო კამპანიის ლოზუნგმა: „რეიგანისთვის ხმის მიცემით თქვენ ამერიკას აძლევთ ხმას!" და თვით პრეზიდენტის საყვარელმა ფრაზამ: „ჩვენ წინ დიადი ამერიკაა!".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ხალხთა მეგობრობის ორდენით მწერალ ფ. ი. ხალვაშის დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის მწერალი ფრიდონ იშიგის ძე ხალვაში დაჯილდოვდეს ხალხთა მეგობრობის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე
ვ. კუზნეცოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი.
1985 წლის 16 მაისი.



ფრიდონ ხალვაში

ცნობილ ქართველ პოეტს ფრიდონ ხალვაშს 60 წელი შეუსრულდა. მისი ლექსების პირველ კრებულს, რომელიც 1948 წელს გამოვიდა, ინტერესით შეხვდა მკითხველი. დღეს ფრიდონ ხალვაში უკვე ორმოცზე მეტი პოეტური კრებულის ავტორია, მისი ლექსები თარგმნილია რუსულად, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ხალხთა ენებზე.

ფრიდონ ხალვაშის პოეზია საქართველოს უმშვენიერესი კუთხის — აჭარის წარსულითა და ბედნიერი დღევანდელობით არის ნასაზრდოები. მისი სათქმელი აქ იწყება და გულმართლად უგალობს ჩვენი ხალხის, საბჭოთა საქართველოს აღმასვლის ნაბიჯებს.

1979 წელს წიგნისათვის „ასი მზე დედის გულისა“, ფრიდონ ხალვაშს შოთა რუსთაველის სახელობის პრემია მიენიჭა.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია ულოცავს პოეტს ღირსშესანიშნავ თარიღს, ახალ-ახალ შემოქმედებითს წარმატებებს უსურვებს და მკითხველს სთავაზობს მის რამდენიმე ლექსს.

მიწა მშობელი

თავმდაბალი ხარ,
ეს იმას ნიშნავს,
თავი არ გქონდეს
დაბლა დახრილი,
შენი ახალი საქმე და სიტყვა
სივრცეებს ჭრიდეს,
როგორც მახვილი.

შენი გონიო და ციხისძირი,
შენი ხხალთა და შენი ხიხანი,
თითო ნატეხი ქვით იმას ყვირის,
რომ გულმართალი ხარ და ივავი.

მხარევ მშობელო, რომ ილიმები
მამულ-დედული
დღეს ამით ტკბება,
კვდებოდა წინათ შენი იმედი,
შენი იმედი დღეს იბადება

აქ რომ ილიამ სკოლა გაგიხსნა
და ლოცვით კოცნა
ყრმათა შუბლები,
დრო დადგა არა მარტო ამ მიწის,
მშობლიურ სიტყვის
თავისუფლების.
არ ხარ პატარა,
თუ სიმღერაში
მოწყვეტილ ძმათა სევდით
შემოსვალ,
ახეთ რწმენაში,
აკვნის რწევაში,
შენ მთლიანი ხარ,
საქართველო ხარ.

მიახლოება

ახლა იწყება ახალი თემა
მზის ამოსვლაზე და მზის
ჩასვლაზე.
გატეხილ ძილში ღამეთა თევა,
ვიცი, რას მართმევს, ვიცი,
რას მაძლევს.

მოუწყობელმა ჯერ კიდევ კარგად,
ცოდვაა, რომ ვთქვა — ცხოვრება
არ ღირს.
როგორც საგზალი ამ გზაზე თან
მაქვს
ბედნიერება ნაპოვნი ტანჯვით.

მერწმუნეთ, ახლა მე უფრო
მიყვარს
დრო, წუთ-წუთობით რომელიც
წავა,
ფიქრი მომავლის მთიების მიღმა
დაეძებს ახალ იმედთა ძალას.

მე კარგად ვიცი, ეს გზა, ეს ძებნა
რას მთხოვს, რა მიაქვს, ან და
რას მაძლევს.
ახლა იწყება ახალი თემა
მზის ამოსვლაზე და მზის
ჩასვლაზე.

დღე-ღამეები

ჩემი დღე-ღამეები
რა საოცარ ტკივილით,
რა უცნაურ ჩივილით
მიდიან და მიდიან,
[illegible]

ფუძევ, არ მოიშლებოდე!

მოფრინდებიან, კვლავაც მოფრინდებიან მერცხლები

ხადა, ბატონო?... კისორეთში მიბრძანდებით?! რას ლაპარაკობთ?! სტუმარი ყოფილხართ ჩვენი... კი, აპა, იქაური კაცი ვარ, ძირი და მკვიდრი კისორეთელი. ერაძე გახლავართ გვარად, ორესტი მქვია სახელი, ორესტი ერაძე. რაჭველიო? არა, ბატონო, კისორეთს რაჭაში რა უნდა, აგერაა ახლოს, ტყიბულის რაიონში... ოკრიბა არ გაგიგონიათ? ე, იმ არემიდამოშია ჩვენი სოფელიც, ცოტა ზემოთ, ოცდათექვსმეტი კილომეტრია აქედან, პირდაპირ ქუთაისიდან ვანგარიშობ, ტყიბულში ჩაუსვლელად, ორპირში გადავუხვევთ მარცხნივ და ჩავალთ. ჩავსხდეთ აგერ ავტობუსში და თქვენი თვალით ნახავთ ყველაფერს. ავტოსადგურში რა გვინდა, ავტობუსი აქვე ჩერდება, თეატრის უკან, ბაზართან, ჩვენი ავტობუსია, კოლმეურნეობის. საგზაომ არ გამოგვიყო, უარი გვითხრა, გზა არ გივარგათ, მგზავრიც ცოტაა და ვზარალდებითო. თავის ზარალს ანგარიშობენ, ჩვენი სოფელი რომ ზარალდება, ეს ვითომ არაფერი, ვითომ ჩვენი ზარალი ქვეყნის ზარალი არ იყოს.

აგერ დაბრძანდით ფანჯარასთან, უკეთ დაათვალიერებთ არემარეს. იცოცხლეთ, თვალის მოსაწონი და გასახარი ბევრი რამ იყოს ამ გზაზე. ავყვებით წყალწითელას, ჩავუვლით მოწამეთას, გელათს... კიი? ნავლელი ხართ აქეთკენ? კისორეთშიც ხართ ნამყოფი? უი, ეს რა მითხარით! თქვენ გაგახარათ ღმერთმა! გაგიკვირდაო? ნუ გაგიკვირდება შენ, სტუმარიც სანატრელი გაგვიხდა ამ ბოლო დროს. ახალგაზრდები შემოგველია სოფელში, ბებრებიღა დავრჩით და ვისღა მოუვა სტუმარი! ერთი დამარხვაზე თუ შეიყრება ნათესაობა, თორემ ვართ გამოყრუებული. მაშინ კი, უკანასკნელ გზაზე გაცილებისას, კი ვიცით თავგამოდება. მკვდარსაც ქე უნდა პატივისცემა, მაგრამ იქით რას მატან, იმ ქვეყანაში, დარდის მეტს, ის მითხარი შენ... რა გაქვს სადარდელიო? ეჰ, შვილო, მე თუ არა მაქვს სადარდელი, აბა, ვისა აქვს, მამაპაპეულ კერას რომ მიგიტოვებს შვილი და ძირი, ამაზე მეტი სადარდელი რაღა იქნება. კარგმა შვილმა მშობელს დარდი არ უნდა ჩააყოლოს საფლავში. ეს არის მშობლის ყველაზე დიდი პატივისცემა. აქაურობაზე დარდი არ უნდა გაგყვეს, შვილების დარდი არ უნდა გაგყვეს, დატოვებული კერის დარდი, ჩემზე კი არ ვწუხვარ, (მე ასეა თუ ისე, გვერდით მეგულება შვილები) მთელი სოფლის საწუხარია, საზოგადო საწუხარია დღეს ეს.

მგონი თავი შეგაწყინეთ, მაგრამ ამ ოცდათექვსმეტი კილომეტრის გავლას კისორეთამდე კაი სამი საათი ჭირდება და მეტი რა უნდა გავაკეთოთ გზაში — ვიმუსაიფოთ, ვიბაასოთ, გავიცნოთ ერთმანეთი.

თუ უკაცრავად არ ვიყუ, თქვენ სადაური ბრძანდებით? თბილისელი? უჰ, მთლად უცხო სტუმარი ყოფილხართ, მე კი ნამეტანი შეგეთამამეთ... ამ სიშორიდან უგანგებოდ არ ჩამობრძანდებოდით. მივლინებითო? იმე! ჩვენთან? კისორეთში? გაზეთში უნდა დაგვწეროთ? მოიცათ, მოიცათ, თქვენ ჟურნალისტი ხომ არ ბრძანდებით, კორესპონდენტი, ერთხელ „კომუნისტშიც“ დაწერეთ ჩვენზე, მოდით, მოფრინდით მერცხლებოო, ასე არ ეწერა სათაურად? მართალს ვამბობ, ხომ, გვარიც ვიცოდი თქვენი, ისა... ფუ! დამავიწყდა, დალახვროს ღმერთმა, პატარა კი არა ვარ, ოთხმოცდაექვსი მოვითავე... ჰო, კი, ახლა გამახსენდა. ძალიან გამიხარდა თქვენი ნახვა, მთელი ჩვენი სოფელიც დიდად გემადლიერებათ, საქვეყნოდ რომ გამოგვაჩინეთ, ჩვენი საწუხარი ქვეყანას რომ ამცნეთ და გააგებინეთ, მარა რაი მერე!.. არ გეწყინებათ, სიმართლე რომ გითხრათ? მაინცდამაინც დიდად ვერაფერში შეგვეწია ის თქვენი წერილი, ჩეიარა თქვენმა დაწერილმა, როგორც შარშანდელმა თოვლმა, გვეიხარეთ ერთი, გული მოვიფხანეთ და ეს იყო. რა შემწევნობას მოველოდით? იმას, რაც თქვენს წერილში ეწერა, მეტს არაფერს. გზა არ გვივარგა, ავტობუსი არ გვემსახურება, სკოლა ჩვენ არ გვაქვს და საექიმო პუნქტი, სხვა რაღაა სოფელი, ღამე ტყეშიც, ხის ძირშიც ქე შეუძლია გაათიოს კაცმა.. ამიტომაცაა ახალგაზრდობა რომ არ გვიჩერდება, მიდის, თანდათან გვეცლება ხელიდან... ხუთი წელი მაინც ხომ იქნება გასული, რაც ის თქვენი წერილი დაიბეჭდა გაზეთში ჩვენს სოფელზე, მერედა, ვითომ შეიცვალა რამე მას შემდეგ? სწორედ მაგის სანახავად მოვდივარო, თქვენ ბრძანებთ? მობრძანდით, ბატონო, ყველას სასიამოვნოდ დაგვრჩება თქვენი სტუმრობა, მაგრამ შეცვლილს და გადასხვაფერებულს ბევრს ვერაფერს ნახავთ.

კი, ბატონო, აკი მოგახსენეთ, „კომუნისტის“ წერილმა ძალიან გაგვახარა-მეთქი, გაგვიხარდა, რომ ჩვენც კაცად ჩაგვაგდეს, ჩვენც ვიღაცას ვახსოვართ ამ მიყრუებულ მთებში გამოკეტილნი. იმ წერილის შემდეგ უფრო გულდაგულ ვშრომობთ, ვინც დავრჩით სოფელში, არ ვიზოგავთ თავს, სიტყვას ვერავინ შემოგვბედავს ვაგლახად, თუ ერთი ვინმეა, ჩვენცა ვართ, ტოლს არავის დავუდებთ არაფერ საქმეში. შარშან, შარშანწინ და იმის წინაც, პირველი ადგილი დავიკავეთ ტყიბულის ზონის კოლმეურნეობებს შორის. ჩვენი გეგმების და შესაძლებლობის პირობაზე სხვაზე მეტი მოვიყვანეთ სიმინდი, ყურძენი, ხილი, ჩაი, აბრეშუმი, თაფლი, სანაქებოდ გვყავს მოვლილი პირუტყვი მეცხოველეობის ფერმებში, მაგრამ, რომ იცოდეთ, რამდენ წვალებად და ჭაპანწყვეტად გვიჯდება ყველაფერი ეს, შეგეცოდება ჩვენებური კაცი. გაჭირვებაო? არა, კაცმა რომ თქვას, რაიმე ისეთი გასაჭირი კი არ გვადგას. შენს კერაზე, შენს მიწა-წყალზე თუ გიდგას ფეხი, შრომა მუშაკაცისთვის რა გასაჭირია, მაგრამ როცა დაბერდები და შვილი არ გიდგას კვალში, ყოველთვის გიჭირს კაცს. გიჭირს, როცა არ იცი, ამ მიწას, ამ ვაზს, ამ ხეს და საქონელს, დღეს რომ უვლი და პატრონობ, ხვალ ვინ ეყოლება პატრონი. ამაზე მეტი გაჭირვება რაღა იქნება. გვიჭირს, აპა, არ გვიჭირს?

ოთხმოცდაათი კომლი არც კია ახლა დარჩენილი ჩვენს სოფელში. თანაც უმრავლესობა ჩემისთანა მოხუცებულების ამარაა დატოვებული, ცალი ფეხი სამარეში რომ გვიდგას. ოცდაცამეტი კაცი გვყავს დღესდღეობით კოლმეურნეობაში, შრომისუნარიანი რომ ქვია. ამის იმედით უნდა ვიყოთ! კარგი, ვთქვათ, დღეს გაგვაქვს თავი რამენაირად, პასუხს ვაძლევთ მტერს და მოყვარეს, ხვალ როგორ იქნება ჩვენი საქმე, კაცმა არ იცის. რატომ გიკვირთ, ბატონო, არ იცის, არავინ არ იცის. მე თუ მკითხავთ, შეიძლება უარესადაც წავიდეს საქმე. რატომ? გეტყვით, აგერ, რატომაც ვფიქრობ ასე, კი არაფერს დაგიმალავთ, და თავადვე განსაჯეთ. ოთხმოცდაათი ოჯახი არცკია-მეთქი სოფელში, ხომ გითხარით, რავა ფიქრობთ, რა ოჯახებია, თუ იცით — დავსებაზე, დაფშუტვაზე მიმდგარი. დაფშუტვა ქვია, აპა რა ქვია, ორი სულიც რომ არ გეყოლება საშუალოდ ოჯახში. ახლა ისიც იკითხეთ, ვინცა გვყავს, ვინ არიან, რა ხალხია ესენი? თუ გაინტერესებთ, დამიგდეთ ყური და გეტყვით აგერ: ამას წინათ, უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნები რომ იყო, ასსამოცდათორმეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში, სულ კი სოფელში ასოთხმოცდათოთხმეტი მცხოვრებია. რა გამოდის, მოზარდები თვრამეტ წლამდე ოცდაორი სულიღაა. ომამდე კისორეთის რვაწლიან სკოლაში მარტო პირველ კლასში შევიდა თითქმის ორი ამდენი, ახლა კი სკოლა სულაც არა გვაქვს. ძალიან მოწადინებულია ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე რეზო ლომთაძე, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს გახდა, არ გაგვიხსნეს სკოლა. რაოდა, ჯერ სასკოლო ასაკის ბავშვები უნდა გყავდეთო, საკმარისი ბავშვი კი საიდან გეყოლება, თუ არ გააჩენ, და რომელიც გაჩენილია, იმასაც არ გააჩერებ სოფელში. გაჩერებით კი იმიტომ არ აჩერებენ, სკოლა არ არისო. შეუსრულდება თუ არა ყმაწვილს ექვსი წელი, აიყრება დედაწულიანად, თუ სადმე ბავშვიანი ოჯახი გვყავს, და ქუთაისში გარბის: მაგ შენი ვენახის და ძროხის გულისათვის, შვილს უსწავლელს ვერ დავტოვებო.

ატყობთ ახლა რავაა საქმე? თუ ბავშვები არ გვეყოლება საკმარისი, სკოლას არ გვიხსნიან, სკოლა არა გვაქვს და ბავშვებს არ გვიჩერებენ და ვართ ასე... არადა, მომავალი და საწინაო თუ არ გეყოლა, ისე რას გახდები, დღეს არა, ხვალ დაგევსება და გაგიცივდება კერია. ამიტომაც თავიდან უნდა იყო მეცადინე, არ გაუშვა სოფლიდან შენი მკვიდრი და ბინადარი, თორემ თუ ერთი გაგისხლტა ხელიდან, მერე იმას უკან ვეღარ დააბრუნებ, კვამლის სუნს თუ გადაეჩვია და მიწის სიყვარული დაკარგა, მერე სოფლისთვისაც დაკარგულია.

რა ეშველება ამ საქმეს? რა ვიცი, რა გითხრა, ბიძია, უსაშველო ჩვენს მტერს გაუჩნდა, მარა ადვილი მოსაგვარებელი რომ არაა ეს საქმე, ქე ვხედავთ ყველა. დახმარება გვჭირდება. ვისი და ყველასი, უპირველესად მთავრობა უნდა დაგვეხმაროს. ხომ წერდით თქვენ გაზეთებში, მთას დაუბრუნდა მთიელიო. ხომ მთავრობის დახმარებით მოხდა ეს. ჩვენ რა, გაწირული კი არა ვართ, ჩვენც გვინდა დახმარება.

გზაო? კი, რაღა თქმა უნდა, კარგი გზა დიდი სიკეთეა, უგზოდ რად ვარგა სოფელი, მაგრამ მარტო უგზოობაც არ არის მიზეზი. თვითონ ადამიანიც შეიცვალა... როგორ და, ხასიათი, გუნება-განწყობილება შეეცვალა. მე ძველი კაცი ვარ და, ასე მგონია, ჩემს ახალგაზრდობაში სხვანაირები ვიყავით ადამიანები. რანაირები? როგორ გითხრათ, იქნებ უკეთესები არც ვიყავით, მაგრამ ერთი ზნე კი უკეთესი გვქონდა: მცირედით ვკმაყოფილდებოდით, ჩვენი ოფლით მონაგარს ვჯერდებოდით, ახლა შეიცვალა ადამიანი, მეტი ჭამა-სმა მოინდომა, უკეთესი ჩაცმა-დახურვა, უკეთესად მორთულ-მოკაზმული სახლკარი. კი, ბატონო, ვინ გიშლის, კაი ცხოვრებას რა ჯობია, მარა არ უნდა გაღორდე, მარტო სიმდიდრეს და ქონებას არ უნდა დახარბდე. სხვაზეც უნდა იფიქრო, საქვეყნო სიკეთეზე უნდა ფიქრობდე და მაშინ ქვეყნის სიკეთე შენს სიკეთედ გადიქცევა, თორემ, თუ მგლისვით ცხოვრობ და სულ მიტაცებაზე ხარ დაგეშილი, სულ ერთია, ყველაფრის მოტაცებას მაინც ვერ მოასწრებ. რაზე ჩამოვაგდე ახლა ეს სიტყვა, ჰო, ჩემს სოფელზე გიამბობდით, გარბის სოფლიდან ახალგაზრდობა, ქალაქისკენ ქნა პირი-მეთქი. რატომ მერე? იმიტომ, რომ მიწის სიყვარული დაკარგა, იოლი ცხოვრების სახსარს ეძებს, სულ არ უნდა ჯაფა და გაჭირვება დაადგეს, თორემ ბოლოს და ბოლოს თექვსმეტი კილომეტრი გზის გაკეთება რა გახდა კისორეთიდან ორპირამდე, იმის იქით უკვე ასფალტია ქუთაისამდე და ტყიბულამდეც. წინათ სულაც ჩვენ ვაკეთებდით ამ გზას, საგზაო ბეგარას ვეძახდით, ხარით და ურმით ვზიდებოდით ხრეშს, ჩოჩიალა ურემი გინახავთ? ე, იმნაირი ურმებით... კი, ბატონო, მართალი ბრძანდებით, თაოსნობა უნდა, გაძღოლა უნდა საქმეს, მაგრამ თავკაცმაც რა ქნას, თუ ხელშეწყობა არ ექნა. არა, აუგს და სამდურავს ვერავინ იტყვის ჩვენს თავმჯდომარეზე, ყოჩაღი კაცია. ჩვიდმეტი წელიწადია თავმჯდომარეა და კაცს არ ახსოვს, საქმისთვის რომ ეღალატოს. ჩვენს გვერდითაა ჭირსა და ლხინში. ამ ოთხი წლის წინათ მეუღლე რომ გარდაეცვალა, აქვე დაასაფლავა სოფლის სასაფლაოზე, სადაც ჩვენი მამა-პაპის ძვლებია, თუმცა ქუთაისშიც აქვს სახლ-კარი, შვილებიც იქ ეზრდებოდა მაშინ სკოლაში და ვერავინ გაზრახავდა, ის კი არადა, ბევრიც ურჩევდა ქუთაისში დაესაფლავებინა. მაგრამ არ ქნა, ამით ის გვითხრა და დაგვიმტკიცა, რომ სიკვდილ-სიცოცხლით თქვენი ვარ, მეც თქვენს გვერდით უნდა დავიმარხოო.

ყურადღებას არც ტყიბულიდან გვაკლებენ, ცოდვას ვერ ვიტყვი. ჩვენი ახალი რაიკომის მდივანი ომარ მარგალიტაძეც მოდის ხოლმე, ამას წინათაც იყო, დახმარებას დაგვპირდა, იმათაც მეტი რა ქნან, ჩვენი მთავარი გასაჭირი ქე გითხარით, ხალხი გვაკლია. ყველაზე მეტად რაზე მწყდება გული შვილო, იცით? ამ ჩვენი სოფლის მიწა-წყალი, მინდორ-ველი, ტყე და საძოვარი ხუთჯერ მეტ ადამიანს შეინახავს. ერთ დროს იყო კიდეც კისორეთში ხუთჯერ მეტი მაცხოვრებელი. ერთ სოფელს მარტო ამ მთის ფერდობებზე შეფენილი კაკლის ხის ტყეები შეინახავს. ახლა ფუტკარი! ოღონდ მოამრავლე და მოუარე, თაფლის მდინარედ გიქცევს წაბლისა და აკაციის ყვავილის ნექტარს და ცოდვა არ არის, ბრალი არ არის, იმის შიში და დარდი გქონდეს კაცს, ვაითუ უპატრონოდ დარჩეს და გაუკაცრიელდეს აქაურობაო.

გინახავთ, რა გულსაკლავად ტირის უპატრონოდ მიტოვებული ვაზი, გაზაფხულის ქარი კვირტებს რომ დააყრევინებს, მოუხვეველს და ჭიგოზე აუკრავად დარჩენილს? გინახავთ ბოქლომდადებული ჭიშკარი და იქვე ეზოში ზაფხულიდან შემორჩენილი, ხეებს შორის გაბმული ჰამაკი უპატრონოდ რომ ლპება ცის ქვეშ — მეორე ზაფხულამდე აღარ მოაკითხავს პატრონი, გინახავთ უპატრონო სახლის ერდოზე ნაღვლიანად მოჟღურტულე მერცხლები, შარშანდელ ბუდეებს სამუდამოდ რომ ეთხოვებიან. მიტოვებულ სახლში აღარც მერცხლები ჩერდებიან.

სიბერეს ძილის გატეხვა და ნაღვლიანი სიზმრებიც ცოდნია. ყოველღამ ადგილის დედას ვხედავ სიზმრებში — ჩამოიშლის ჭაღარა თმას და ტირის, მიტოვებულ სახლებს დასტირის. ყოველღამ ერთი და იგივე მესიზმრება და არც კი ვიცი, სიზმარია თუ მოჩვენება... რა მითხარით? ცრუმორწმუნეო? არა, რატომ, ცრუმორწმუნე რატომ ვიქნები, მე მორწმუნე კაცი ვარ, შვილო, აი იმ ადგილის დედისა მწამს და ისიც ვიცი, რატომ ტირის ვაზი. უმიზეზოდ სიზმარიც არ არის. იცით, რატომ იღიმიან ძუძუთა ბალღები ძილში? ანგელოზები ესიზმრებათ.

მომეჩვენა, რომ მოხუცს ხმა აუთრთოლდა და უნებურად შევხედე გვერდით მჯდომს, ტიროდა, ორი კურცხალი ჩამოგორებოდა დამჭკნარ ღაწვებზე, გაჩუმდა და სახე მოშარიდა.

ამის შემდეგ საუბარი აღარც გაგვიგრძელებია, რადგან ბავშვის ცრემლებზე უფრო წმინდა და მეტყველი იყო ეს ცრემლები და სიტყვის შეშველება არ იყო საჭირო.

ხმისამოუღებლად ვისხედით გვერდი-გვერდ. მივჯაყჯაყებდით ავტობუსით კისორეთის ოღროჩოღრო გზაზე და ჩვენ-ჩვენს საფიქრალს ვფიქრობდით.

რაო, ბერიკაცო, რამ შეგაშინა? მე შენს ბებერ ქედს ვენაცვალე, კოჟრიან ხელებს, როგორ შეიძლება შენს კერაზე ცეცხლი არ ენთოს. ღმერთმა ნუ ქნას, კისორეთში ვაზი არა ხარობდეს, ღვინო არ იწურებოდეს. ნუ, ნუ იდარდებ, ნუ დამიღონდები, მოფრინდებიან, კვლავაც მოფრინდებიან მერცხლები, ღმერთმა ნუ ქნას, რომ არ მოფრინდნენ!

მიხეილ მიქაძე.

18 მაისი მუზეუმების საერთაშორისო დღეა

დიდი ხელოვნის სიყვარულით

საქართველო თავად მუზეუმიაო, იტყვიან ხოლმე უცხოელები და მართლაც ჩვენში სტუმარი მრავალ ღირსშესანიშნაობათა შორის გვერდს ვერ აუვლის მუზეუმებსა და მემორიალურ სახლებს, ერის გამოჩენილ მოღვაწეთა ცხოვრებას რომ გვაცნობს. ვინც კახეთს ეწვევა, ყვარლის ნახვასაც შესთავაზებენ უეჭველად. ორი ღირსშესანიშნაობით იწონებს თავს ყვარელი: ილია ჭავჭავაძისა და კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმებით. ყვარლელები თვალისჩინივით ესათუთებიან ილიასა და კოტეს სახელებს, მათს ხსოვნას. ამ გულითადობის პასუხად ყვარლის კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმში (დირექტორი — მზიური ანასაშვილი) ახლახან მოსკოვიდან მიიღეს დეპეშა: სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ულოცავს მუშაკებს მუზეუმების საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებას. სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს და კულტურის მუშაკთა პროფკავშირების დიპლომითა და ფულადი პრემიით დაჯილდოებას, აგრეთვე სამუზეუმო ფონდების დათვალიერებაში გამარჯვებულის დიპლომის მიღებას.

მუზეუმის ეზოდანვე იგრძნობთ, რომ აქ საქმის მოყვარული, ენთუზიასტი ადამიანები მუშაობენ. მარჯანიშვილთა კარ-მიდამო მათ ედემად უქცევიათ, ხოლო თვით მუზეუმი ბოლო ხანს გაუმდიდრებიათ სახელოვანი რეჟისორის შემოქმედების ამსახველი ფირფიტებით, ახალი მასალებით, გადაუხალისებიათ ექსპოზიცია.

მეცნიერი მუშაკები ნ. მღებრიშვილი, ც. გოგებაშვილი, ე. სტეფანიანი, ექსკურსიამძღოლები მ. ხატიაშვილი, მ. ბუჟიაშვილი, ნ. რუსიაშვილი, ფონდების მცველი მ. მამულაშვილი საკუთარი ოჯახივით უვლიან აქაურობას, დიდი პასუხისმგებლობით ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

ახლახან მუზეუმს შეემატა კოტე მარჯანიშვილის ვაჟის, აკადემიკოს კონსტანტინე მარჯანიშვილის სამუშაო ოთახის მოწყობილობა და არქივი, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ ჩამოიტანეს მოსკოვიდან მამაპაპისეულ სახლში.

კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმი ყვარლელთა საყვარელი საკრებულოა, აქ იმართება მუსიკალური კონკურსები, მხატვრული კითხვის საღამოები. ბევრი სტუმარი სწვევია აქაურობას და აღტაცებული სტრიქონები დაუტოვებია შთაბეჭდილებათა წიგნში.

მუზეუმთან მოქმედებს კულტურის სახალხო უნივერსიტეტი.

ქ. კვეიძე.

ავტოკლუბი ფერმაში

ლენტეხი. (საქ. კორ.). სოფლად შრომის ცხარე, სადაგი დღეებია. მხვნელ-მთესველები საფუძველს უყრიან ხუთწლედის დამამთავრებელი წლის მოსავალს, მეცხოველეები კი დიდი და გაჭიანურებული ზამთრისაგან მიყენებულ ზარალს ანაზღაურებენ, ზრდიან ფერმის პროდუქციას, ემზადებიან პირუტყვის საიალაღო ძოვებაზე გადასაყვანად. რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმაც თავიანთი მუშაობის აქცენტი მინდვრებსა და ფერმებზე გადაიტანეს.

რაიონის კულტურის სახლისა და ავტოკლუბის აგიტმხატვრული ბრიგადები მინდვრისა და საზოგადოებრივი ფერმების მშრომელთა ხშირი სტუმარია. ავტოკლუბი ბევრ სოფელს ეწვია, გამართა კონცერტები და აგიტსაუბრები. ამ დღეებში ავტოკლუბი ჩიხარეშის საბჭოთა მეურნეობის აშხამურის მეცხოველეობის ფერმას ესტუმრა. კულტურის სახლის დირექტორი გ. გუგავა ესაუბრა ფერმის მუშაკებს, გააცნო მათ რაიონისა და რესპუბლიკის ახალი ამბები. საუბრის შემდეგ ჯერი აგიტმხატვრული ბრიგადის წევრთა ოსტატობაზე მიდგა და მეცხოველეებსაც მოეწონათ მათთვის საგანგებოდ მომზადებული ახალი საკონცერტო პროგრამა.

იხარე ჭერო!

ტყიბული. (საქ. კორ.). ქალაქის ცენტრალური ნაწილი დაამშვენა კიდევ ერთმა ცხრასართულიანმა საცხოვრებელმა სახლმა, რომელიც ქუთაისის სახლთსაშენებელმა კომბინატმა ააგო. ამ სახლში მეშახტეთა 35 ოჯახმა იზეიმა ახალმოსახლეობა კეთილმოწყობილ, ნათელ ბინებში.

ახლახან კი ოქტომბრის ქუჩაზე მდებარე ხუთსართულიან საცხოვრებელ სახლსაც შემოაცალეს ხარაჩოები ტყიბულშახტმშენის სამმართველოს მშენებლებმა. მალე ამავე სამმართველოს 45 ბედნიერი ოჯახი დაილოცავს ახალ ჭერსა და ფუძეს.

დიმიტროვის, გორგასლისა და კეცხოველის ქუჩებზეც დამკვრელური ტემპით შენდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები.

ახალგაზრდობის სახლი

მახარაძე. (საქ. კორ.). სოფელ დვაბზუს კოლმეურნეობის ახალგაზრდობამ საუკეთესო საჩუქარი მიიღო — მის განკარგულებაშია ახალი კაპიტალური, კეთილმოწყობილი „ახალგაზრდობის სახლი“, რომელიც სოფლის ახალგაზრდობის გართობის, დასვენებისა და თავშეყრის ჩინებული ადგილი იქნება.

„ახალგაზრდობის სახლი“, მისი ბედნიერი დარბაზი და გემოვნებით მოხატული კობტა ოთახები გაწყობილია ძვირფასი ავეჯით, კულტურული დასვენება-გართობის საშუალებებით, აქ სისტემატურად მოეწყობა ახალგაზრდა კოლმეურნეთა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა შეხვედრები მრგვალ მაგიდასთან სოფლის წინსვლისათვის საჭირო სადღეისო პრობლემებზე. აქვე შეიკრიბებიან ხოლმე საბჭოთა არმიაში გასაწვევი ახალგაზრდები.

კულტურის ქრონიკები



მხატვრების თემაა თანამედროვეობა

თბილისის მხატვრის სახლში გაიხსნა ქუთაისელი, ფოთელი, ვანელი, სამტრედიელი და საჩხერელი სახვითი ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა.

აქ გამოფენილია სხვადასხვა თაობის წარმომადგენელი 52 ავტორის 150-ზე მეტი ნამუშევარი. ფერწერული ტილოები, გრაფიკა, ქანდაკება, გობელენი ასახავს თანამედროვე ადამიანის, ახალი საზოგადოების მშენებლის სულიერ სამყაროს. ყურადღებას იპყრობს საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატის გ. დოლენჯაშვილის, მხატვრების ბ. ნებიერიძის, ა. ლელაძის, ტ. ჭეიშვილის და სხვათა ნამუშევრები.

სურათზე: ტ. ჭეიშვილის გობელენი „ოჯახი“.
ი. შლამოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სტუდენტების ხელოვნება

საქართველოს თეატრალური საზოგადოების „მეგობრობის თეატრის“ მოწვევით თბილისის მსახიობის სახლის სცენა ამჯერად დაეთმო ლენინგრადის, ნ. ჩერკასოვის სახელობის მუსიკის, თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტებს. მათ წარმოადგინეს ალექსანდრე ვოლოდინის პიესა „ორი ისარი“, რომელიც მოსკოვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალს ეძღვნება.

სპექტაკლის რეჟისორია ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ დამსახურებული არტისტი და მარიეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლ. ჩეტნოკოვი, მხატვარი ვ. კორშიკოვა, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის ე. ჟუჩკოვას, ბალეტმაისტერია ი. კუზნეცოვი, სამხატვრო ხელმძღვანელი — ინსტიტუტის დოცენტი, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ი. ხამარმერი.

სურათზე: სპექტაკლის სცენა; უშასტის როლში — ვ. კორეცკი.
ვ. პეტროსიანის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



იზეიმეს ახალმოსახლეობა

ქუთაისი. (საქ. კორ.). მოტობლოკის ქარხნის მშრომელებისათვის საექსპლოატაციოდ გადაეცა ცხრასართულიანი 90-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც ააგო სახლთსაშენებელმა კომბინატმა. ქალაქისა და ქარხნის ხელმძღვანელებმა ქარხნის მოწინავეებს ზ. გვენეტაძეს, გ. გრძელიძეს, ზ. წვერავას, ა. მასარეიშვილსა და სხვებს გულითადად მიულოცეს ახალმოსახლეობა და ბედნიერება, სიკეთე და მშვიდობა უსურვეს.

ქართული ანსამბლის წარმატება

ბერლინი. საქდესის კორესპონდენტები ი. ვექსლერი და ა. გულიაევი გვატყობინებენ: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ბევრ ქალაქში გაიმართება საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის გასტროლები. კოლექტივი, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჰიტლერულ ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავის ნიშნით მიმდინარე სსრ კავშირის კულტურის დღეებში მონაწილეობს, უკვე გამოვიდა ამ დღესასწაულის გახსნის საზეიმო კონცერტზე ბერლინის რესპუბლიკის სასახლეში. დიდი წარმატებით ჩაიარა თბილისელი სტუმრების გამოსვლამ დედაქალაქის „ფოლქსბიუნეს“ თეატრშიც.

ბერლინის სტუმრებმა და მკვიდრებმა გულთბილად მიიღეს ქართველი მოცეკვავეები. მაყურებელი გაეცნო ხალხური ცეკვების „ხორუმისა“ და „მხედრულის“ ინტერპრეტაციას, ხევსურულ სიუიტას, ოსურ საქორწინო ცეკვას. ისინი ადასტურებენ არა მარტო საბჭოთა ამიერკავკასიის ხალხების ფოლკლორის სიმდიდრეს, არამედ ქართული ქორეოგრაფიის მაღალ დონესაც.

მზიური საქართველოს მსახიობების კონცერტი, წერს გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“, მგზნებარებისა და სრულყოფის, სინარნარისა და სილამაზის ცეცხლოვანი გრიგალია. გასაოცარია სიმსუბუქე, რომლითაც მსახიობები ურთულეს ცეკვებს ასრულებენ!

სპორტსაქონლის ახალი მაღაზიები

წლითიწლობით ფართოვდება რესპუბლიკური საბითუმო-საცალო გაერთიანება „სპორტსაქონლის“ მაღაზიების ქსელი. ვაჭრობის ახალი ობიექტები საექსპლოატაციოდ გადაეცა თბილისში, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მახლობლად პირველი მაისის წინა დღეებში გაიხსნა ავტომოტოველოსაქონლის მაღაზია. აქ შეიძლება შეიძინოთ მოტოციკლეტები, ველოსიპედები, სხვადასხვა სათადარიგო ნაწილები. ასეთივე სავაჭრო ობიექტი ჩადგა მწყობრში დიდი გამარჯვების ზეიმის წინ ბორჯომში.

ყაბახი

სატურნირო ორბიტა

მხატვრული ტანვარჯიში. ბელგოროდში დაწყებულ საკავშირო ჩემპიონატზე პირველი დღის შემდეგ დაწინაურდნენ ვილნიუსელი დალია კუტკაიტე (19,60 ქულა), ომსკელი ტატიანა დრუჩინინა (19,45) და ასტრახანელი გალინა ბელოგლაზოვა (19,35).

მძლეოსნობა. მსოფლიოში წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგით აღინიშნა საკავშირო შეჯიბრება საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-პოლკოვნიკ ლესელიძის პრიზზე: კურორტ ლესელიძეში გამართულ ამ ასპარეზობაზე კიეველმა იური ტამმა უროს ტყორცნა 81,90 მეტრზე. ეს შედეგი მართლაც საუცხოოა. ბირთვის კვრაში ყველას აჯობა ოდესელმა ნუნუ აბაშიძემ—19,86 მეტრი. ამ სახეობაში მესამე ადგილი დაიკავა მისმა დამ ალექსანდრამ, რომელიც ახლახან თბილისში დასახლდა — 15,96 მ. ვაჟთა შორის ბირთვის კვრაში პირველობა მოიპოვა მოსკოველმა სერგი გავრიუშინმა — 20,96 მ. ბადროს მტყორცნელთა შორის უძლიერესნი იყვნენ ალმა ათელი ტატიანა ლესოვაია (62,42 მ) და ვილნიუსელი ვლადას კადიკასი (64,54 მ). უროს ტყორცნაში გაიმარჯვეს კუიბიშეველმა ოლღა ჩისტიაკოვამ (59,72 მ) და ლენინგრადელმა ალექსანდრე შიშკოვამ (79,82 მ). შეჯიბრების მესამე პრიზიორი გახდა თბილისელი ელგუჯა კორტიევი, რომელმაც შუბი ტყორცნა 77 მეტრზე.

რეგბი. პარიზში გაიმართა ევროპის ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი. აქ საფრანგეთის ნაკრებმა დაამარცხა სსრ კავშირის გუნდი (36:21) და შეინარჩუნა კონტინენტზე უძლიერესის წოდება. ორი შეხვედრაც და ევროპის ჩემპიონატი დამთავრდება. დღეს, 18 მაისს ერთმანეთს შეხვდებიან იტალიისა და ესპანეთის გუნდები, 31 მაისს კი ვერცხლის მედლების პრეტენდენტები — საბჭოთა და რუმინელი რეგბისტები.

ფეხბურთი. გაიმართა მეორე ლიგის მეცხრე ზონის გუნდების საკავშირო შეჯიბრების მეხუთე ტურის მატჩები. გთავაზობთ შედეგებს: გორის „დილა“-აშხაბადის „კოლხოზჩი“ — 2:2, სამტრედიის „ლოკომოტივი“-ბაქოს „გიანჯლიკი“— 1:2, თბილისის „ლოკომოტივი“-სტეფანაკერტის „ყარაბაღი“ — 0:0, ლენინაკანის „შირაკი“-ნახიჩევანის „არაზი“—2:0, ფოთის „კოლხეთი“-მინგეჩაურის „ავტომობილისტი“ — 3:0, სოხუმის „დინამო“-კიროვაბადის „ქიაფაზი“ 1:0, მახარაძის „მერცხალი“-აშტარაკის „ოლიმპია“ — 4:0, ტყიბულის „მეშახტე“-ოქტემბერიანის „სპარტაკი“— 3:0, ხუთი ტურის შემდეგ 7-7 ქულით ლიდერობენ ბაქოს „გიანჯლიკი“, სოხუმის „დინამო“ და ტყიბულის „მეშახტე“.

[illegible]

რედაქტორი [illegible]

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

18 მაისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.50 — [illegible]

[illegible] ველა გ. პრიახინი. 17.15 — ახალი ამბები. 17.20 — მულტფილმი. 17.35 — დოკუმენტური ტელეფილმი „ნიკარაგუა“. 18.40 — მეცნიერეთა სამყარო. 19.25 — ცირკის არენაზე. 20.00 — ფეხბურთი. „სპარტაკი“ — მოსკოვის [illegible]

[illegible] რი გადაცემა. 13.40 — მოგზაურთა კლუბი. 14.40 — სტადიონი ყველასათვის. 15.15 — ფილმი — ბავშვებს. 16.30 — საერთაშორისო მიმოხილვა. 16.45 — საერთაშორისო შეჯიბრება ნიჩბოსნობაში. 17.15 — ფილმ-სპექ- [illegible]

თბილისი

18 მაისი

[illegible] — პოეზიის ხუთი წუთი. 13.45 — „ბუნების კარი“. 14.30 — „შუქნიშანი“. 14.45 — „კინოდოკუმენტალისტის თვალით“. 15.30 — შევისწავლოთ რუსული ენა (სტუდიაშია ნ. ბასილაია). 16.00 — საინფორმაციო გამოშვება. 16.10 — პოეზიის ხუთი წუთი. 16.15 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — სატელევიზიო ჟურნალი „სამ- [illegible]

თეატრი

18 მაისი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — რომეო და ჯულიეტა. [illegible]

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 [illegible]